საქართველოს თასი. 1/2 ფინალი
მეტალურგი-დინამო (თ)
ჩიხურა-სიონი

ნაღდი ფეხბურთი გვინდა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 აპრილი **სამშაბათი** 2013
№094 (14 010) ფასი 80 თეთრი

დღეს დინამო ჩისკოს გარეშე

ესპანელი სამი მატჩით დაისაჯა

2-3

ოთხგზის ჩემპიონთა ნახევარფინალი

მესიმ საერთო ჯგუფში ივარჯიშა

ჩავი და რიბერი:
შანსები
50/50

8-9

ალიანს არენა. ბაიერნი-ბარსელონა. 22:45

10

20-იანის საჩემპიონო ჰეთ-თრიკი

მანჩესტერმა მე-20 ტიტული ვადაზე ადრე მოიპოვა

მოერიდეთ, იკბინებაა!

დეილი მეილი: ტაისონი 2 მილიონ ფუნტითა და სიცოცხლის გოლომდე დისკვალიფიკაციით დასაჯეს...

სუარესმა მეტი დაიმსახურა

10

ალმაზრიცე მენი
კომენტატორი
პირველ პარხზე

ნაღდი ფეხბურთის მოლოდინი ანუ გაბარება-გამობარება არ იყოს!

23.04 . ᲘᲕᲐᲜᲬᲛᲘᲜᲓᲐ 16:00

ᲒᲖᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲖᲔ

ᲩᲘᲮᲣᲠᲐ	VS	ᲡᲘᲝᲜᲘ
1/16 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ		**1/16 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**
ᲩᲘᲮᲣᲠᲐ – ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲗᲘ (Ხ) 2:0		ᲐᲔᲢᲘ – ᲡᲘᲝᲜᲘ 1:3
ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲗᲘ (Ხ) – ᲩᲘᲮᲣᲠᲐ 0:2		ᲡᲘᲝᲜᲘ – ᲐᲔᲢᲘ 3:3
1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ		**1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**
ᲩᲘᲮᲣᲠᲐ – ᲨᲣᲨᲐᲠᲐ 8:0		ᲡᲘᲝᲜᲘ – ᲖᲣᲖᲣᲓᲘᲓᲘ 3:0
ᲨᲣᲨᲐᲠᲐ – ᲩᲘᲮᲣᲠᲐ 0:3		ᲖᲣᲖᲣᲓᲘᲓᲘ – ᲡᲘᲝᲜᲘ 1:1
1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ		**1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**
ᲩᲘᲮᲣᲠᲐ – ᲓᲘᲪᲚᲐ 3:0		ᲛᲬᲠᲐᲕᲔᲚᲘ – ᲡᲘᲝᲜᲘ 3:1
ᲓᲘᲪᲚᲐ – ᲩᲘᲮᲣᲠᲐ 1:2		ᲡᲘᲝᲜᲘ – ᲛᲬᲠᲐᲕᲔᲚᲘ 2:0

როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს სეზონი, საჩხერელებს მაინც სამამაყო ექნებათ საქმე გუნდი უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონს ატარებს და სამეულში მოსაბედნიერ ბრძანეს; თასზე კი, პირველად კლუბის ისტორიაში, ნახევარფინალში მაღლა და მოეღებების სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში, „ჩიხურას“, შესაძლოა, ფინალისტობაც ეყოს... ევროტურნირებზე მოსახედერად! თუმცა ამისათვის ორი რამ უნდა მოხდეს: ჯერ „სიონს“ უნდა აჯობონ ორორაუნდიან დაპირისპირებაში, პრასლეულრად კი თბილისის „დინამო“ უნდა გაიმარჯვოს მეორე წყვილში. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია და „ჩიხურა“ უკვე ნახევარფინალისტია, ამ ეტაპზე ბოლო ოთხეულში ხვდება ერთადერთი ქართველი კლუბი, რომელიც ამ სტადიამდე ორჯერ მაინც მაინც მოხვდა ევროპის ძლიერ ლიგებში – 2003 წელს და 2007 წელს.

„ჩიხურა“ – „დილა“ ორივე სათასო დაპირისპირებაში ავღირა

ამ ორ შეხვედრას შორის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ფინალური ბრძოლა ჩაიმართა ბოლო წლებში ქართულ ფეხბურთში. ეს იყო 2005 წლის 25 მაისი, როდესაც ქუთაისის „ფაზისის“ სტადიონზე ერთმანეთს ორი ნაკრები ეთამაშა. ერთ-ერთი მათგანი ამ ეტაპზე ლიგის ლიდერი იყო, მეორე კი ბოლო ადგილზე იმყოფებოდა. ამ ორ გუნდს შორის ფინალური მატჩის ჩატარების უფლებისთვის ბრძოლა ნამდვილად ძალიან ბევრ ემოციას ითხოვდა, მაგრამ ეს ემოციები ნაკლებად ეხებოდა ფეხბურთს. ორივე გუნდის ფანატები ერთმანეთს ებრძოდნენ ქუთაისის ქუჩებში, ხოლო მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ტრიბუნებზე ორივე მხარის ულტრასები ერთმანეთს ეომებოდნენ. ამ ბრძოლის შედეგად ორივე მხარის ფანატებს სერიოზული ტრავმები მიადგათ, ხოლო ფინალური მატჩის ჩატარება საერთოდ ვერ მოხერხდა. ამ ფინალის გამო ქუთაისში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს და ქალაქში ჯარის ნაწილები შეიყვანეს.

ამ ფინალის შემდეგ ორივე გუნდის ფანატებს შორის ბრძოლა ნელ-ნელა ჩაცხრა, მაგრამ ეს ორი გუნდი ერთმანეთს ისევ ხვდებოდა ფინალურ ეტაპებზე. 2006 წელს ისინი ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ამჯერად ფინალისტობა „ჩიხურამ“ მოიპოვა. ამ ორ გუნდს შორის ბრძოლა ამ ეტაპზე ყველაზე ემოციური იყო, ორივე მატჩი ერთ გოლზე დამთავრდა და ორივე მათგანი ბოლო წუთებში გაიმარჯ

ჩიხურა-სირინის წინ

ნიკა კვასხვაძე:

ამის გამოყენებას ვეცდებით...

საჩხერის „ჩიხურა“ ძნელად წასაცევი გუნდია და თასის ფინალში გასვლის კარგი შანსიც აქვს. „ჩიხურა“ დღეს ბოლნისის „სიონს“ დაუხვდება და წინასამატჩო კომენტარი საჩხერელთა ერთ-ერთ მწვრთნელს, ნიკა კვასხვაძეს ვთხოვეთ.

25 წლის კვასხვაძე შემჩნეულია, ბოლო დროს თავდამსხმელის უკან, დაახლოებით პლეიმეიკერის პოზიციაზე თამაშობს, მანამდე კი ფლანგიდან ამწვავებდა იერიშებს. მას არავერი სჭირდა გოლი აქვს გატანილი მიმდინარე სეზონში და ცხადია, „სიონთან“ სათასო დაპირისპირებაშიც მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორ წაუვა თამაში...

- ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში „სიონი“ შინ 0:3 დამარცხდა „ვიტ ჯორჯიასთან“ და გამოჩნდა, რომ უნაკლო გუნდი ნამდვილად არ არის...

- გასაგებია, მაგრამ წყენ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩით არ ვაფასებთ „სიონის“ ძალას. წყენთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ „სიონმა“ თასის მეოთხეფინალში ისეთი ძლიერი მონინააღმდეგის დამარცხება მოახერხა, როგორიც ქუთაისის „ტორპედოა“. თასზე „სიონი“ გაცილებით უფრო მობილიზებული იქნება, ვიდრე „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის დროს იყო.

- „სიონთან“ პირველ შეხვედრაში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?

- გოლი არ უნდა გაგიშვათ - ეს იქნება მთავარი.

- არცთუ დიდი ხნის ამბავია - ჩემპიონატში სტუმრად „დინამოსთან“ 0:3 რომ დამარცხდით, მატჩის შემდეგ თქვენი მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე ამბობდა, უმაღლესი ლიგის გუნდს მეტი თავმოყვარეობა მართებდა, მიუხედავად დანაკლისისა, ასე არ უნდა გვეთამაშაო. როგორ ფიქრობ, ეს ფეხბურთელების მხრიდან კონცენტრაციის დაკარგვის ბრალი იყო?

- კონცენტრაციის დაკარგვა - „ჩიხურას“ ასეთი პრობლემა არ აქვს, უბრალოდ, „დინამოსთან“ ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა. „ჩიხურა“ გუნდური ფეხბურთის თამაშობს, ცალკეულ მოთამაშეებზე დამოკიდებული არ ვართ და როცა ექვსი მოთამაშე გამოგვაკლდა, ამან ძალიან უარყოფითად იმოქმედა ჩვენზე, თუმცა მაინც არ უნდა ვაგვეწია ასე...

- ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე ხართ - სეზონის ბოლოს აქცენტს უფრო თასზე გადაიტანთ?

- არა, ორივე ტურნირში ერთნაირი მონდომებით ვიბრძოლებთ, ჩემპიონატდანაც ხომ შეგვიძლია ევროტურნირზე მოხვედრა.

- რა იქნება „ჩიხურას“ კოზირი „სიონთან“ სათასო დაპირისპირებაში? ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპზე ბოლნისელთა გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდა...

- ჩემი აზრით, „სიონის“ შეტევა უფრო ძლიერია, ვიდრე დაცვა - ვეცდებით, ეს გამოვიყენოთ...

დავით თავართქილაძე



ფოტო: www.fcdinamo.ge

სადისციპლინო კომიტეტის ხდომა

სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტმა ორივე მხარეს მოსთხოვა, წარმოედგინათ მატჩის სრული ვიდეოჩანაწერი. „ზუგდიდმა“ წარმოადგინა, „დინამომ“ - არა.

ჩისკომ არ უარყო, რომ მონინააღმდეგესთან კონტაქტი ჰქონდა. თუმცა მანისიც თქვა, რომ აფაქიძე მას აგინებდა და აფურთხებდა, რის გამოც, პროვოკაციას ამჯობინა და ვერ შეიკავა თავი. აი, ეს უკვე სხვა თემაა და „დინამოს“ სრული უფლება აქვს, ამის თაობაზე პროტესტი გამოხატოს და საჩივარი შეიტანოს ფეხბურთელის ნინააღმდეგ - აღნიშნა სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე **ჯიმშერ ტყებუჩავამ.**

„დინამოს“ ხელმძღვანელებს (**ბუბა ტყავაძეს და ასნდრო მახოროს**) კომენტარი არ გაუკეთებიათ. მედიის წარმომადგენლებს მათ მხოლოდ ის განუცხადეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციას მოიწვევენ.

სფფ-ის პრესსამსახური

ტურის მწვრთნელი. ინტერვიუ ზურაბ ბერიძესთან

სიონთან გამარჯვებამ ჩემი გუნდი უკეთესობისკენ შეცვალა

ქართულ-აზერბაიჯანული ლიგა აბსურდია

უმაღლესი ლიგის გასული ტურის ყველაზე შთამბეჭდავი შედეგი ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" დაფიქსირდა, სადაც "ვიტ ჯორჯიამ" ბოლნისის "სიონი" 3:0 გაანადგურა და გასაკვირდ ზონას თავი დაალწია. თუმცა უმაღლეს გუნდთან დასარჩენად ვეფერნარებს წინ დიდი ბრძოლები ელით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ნელს "ვიტ ჯორჯიამ" პირველი ოფიციალური მატჩი მოიგო.

"ლელოს" რესპონდენტი ვიტალთა თავკაცი ზურაბ ბერიძეა, რომელიც ჩვენმა გაზეთმა გასული ტურის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

- რის ხარჯზე შეძლო "ვიტ ჯორჯიამ" ასეთი დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება?

- უპირველესად, მადლობას მოგახსენებთ ჩვენი მორიგი დაფასებისთვის. მოხარული ვარ, რომ მე და ჩემი ორი ფეხბურთელი "ლელოს" სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ. ეს ბიჭებისთვის დიდი სტიმულია. რაც შეეხება "სიონთან" მატჩს, ვიცოდით, რომ სამე სერიოზულ მეტოქესთან გვქონდა, მაგრამ უკანდასახევი გზა მოყრილი იყო – მორიგი ნარუმატებლობით უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებს კიდევ უფრო შევიმცირებდით. შევეცადე ამ შეხვედრის მნიშვნელობა ჩემი ფეხბურთელებისთვის კარგად განმემარტა, რაც შევეცი კიდეც. გუნდმა არა მხოლოდ ფიზიკურად მოამზადა, დამეთანხმებით, მეტოქეს დამაჯერებლად ვაჯობეთ.

- "ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელად სულ ახლახანს დაბრუნდით. მოასწარით გუნდში რაიმეს შეცვლა?

- დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ეს შეუძლებელია, მაგრამ ყველანაირად ვცდილობ, გუნდს საბურნირო მდგომარეობის გამოსწორებაში დავეხმარო. დიდი იმედი გვაქვს, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენას შეეძლები. გარდა იმისა, რომ "სიონთან" ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოვიპოვეთ, ამ გამარჯვებით ბიჭებმა საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნეს, ბოლნისელებთან გამარჯვებამ ჩემი გუნდი უკეთესობისკენ შეცვალა.

- სეზონის ბოლომდე საკმაოდ რთული შეხვედრები გელით.

- გეთანხმებით, მაგრამ ბრძოლისთვის მზად ვართ. შევეცდებით, კონკურენტებთან სამართლიან ბრძოლაში დავამტკიცოთ, რომ უმლიერესთა შორის ასპარეზობის ღირსი ვართ.

- ქართული-აზერბაიჯანული ჩემპიონატზე რა აზრის ხართ?

- მიმაჩნია, რომ ქართულ-აზერბაიჯანული ლიგის იდეა აბსურდია. ეს უფრო პიარს მაგონებს, ვიდრე რეალობაზე დაფუძნებულ მსჯელობას. მგონია, რომ ჩვენთან გაერთიანება აზერბაიჯანელებს უფრო აძლევთ ხელს და ვერ ვხედავ იმის საჭიროებას, რომ მათი ფეხბურთის განვითარებას შევუწყოთ ხელი. ჩემი აზრით, ყველაზე კარგი ის იქნება, ჩვენმა სახელმწიფომ უმაღლესი ლიგის კლუბები თანაბრად დააფინანსოს და საქართველოს ჩემპიონატის დონე ამ გზით ავამაღლოთ.

ლევან ჯანეზაშვილი

გიორგი ყიფიანი (მარცხნივ) და დუშან უჯრინი

ლურგის“ შანსს ამ დაპირისპირებაში?

- რა თქმა უნდა, ჩისკო გამორჩეული ფიგურაა თავის გუნდში და საერთოდ საქართველოს ჩემპიონატში. ესპანელის არყოფნა „დინამოსთვის“ მართლაც დანაკლისია, თუმცა ამ გუნდს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ჩისკო არანაკლებ კვალიფიციური შემცვლით შეცვალოს. „დინამოს“ ხშირ კარგი თავდამსხმელებიც ჰყავს, მაგალითად, ჯაბა დვალი. მიმაჩნია, რომ ჩისკოს არყოფნით „დინამოს“ შეტევითი ხაზი არ შესუსტდება. ესპანელის რუსთავში არყოფნა ამ დაპირისპირებაში გადამწყვეტი ფაქტორი არ იქნება.

- და რა იქნება გადამწყვეტი „მეტალურგისა“ და „დინამოს“ დუელში?

- გადამწყვეტი უნდა გახდეს ის, თუ რომელი გუნდი იქნება უფრო მობილიზებული ორმაგჩიან ბრძოლაში. ისეთი მონინააღმდეგე გვყავს, რომ წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა. „მეტალურგი“ მზად არის „დინამოსთან“ ღირსეულად წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ჩვენი ერთადერთი შანსია ნლეულს ევროსარბიელზე მოსახვედრად.

- ფეხბურთელებს რატომ ურჩიეთ „დინამოსთან“ მატჩის წინ მასმედიასთან ურთიერთობაზე თავის შეკავება?

- ეს არ იყო ერთპიროვნული გადაწყვეტილება, ეს მთლიანად "მეტალურგის" პოზიცია გახლავთ. გეგმაში, რომ ამ შეხვედრისთვის ინტერესი დიდია, მაგრამ მაინც მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება - არ გვინდა, ფეხბურთელებმა ოდნავ მაინც რომ დაკარგონ კონცენტრაცია.

- ორრაუნდიან ბრძოლას როგორ დაჰყოფდით - რა იქნება მთავარი ფაქტორი პირველ შეხვედრაში?

- ისე უნდა მივალწიოთ გამარჯვებას, რომ გოლი არ გავუშვათ. მინიმალური ანგარიშითაც რომ მოვიგოთ და კარი მშრალად შევინახოთ, ამით ერთობ კმაყოფილი დავრჩები.

- გაქვთ იმის იმედი, რომ რუსთაველი გულშემატკივარი მრავლად იქნება სტადიონზე?

- ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და არის მონოდება, რომ ხალხი სტადიონზე მოვიდეს. რუსთაველი გულშემატკივარი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, იმედია, „დინამოსთან“ ამ შეხვედრისთვის უფრო მეტი ქომაგი მოვა ჩვენს მხარდასაჭერად, ვიდრე „მეტალურგის“ სხვა საშინაო მატჩებზე.

დავით თავართქილაძე

● აქტუალური თემა

არჩილ არველაძე:
ამ პროექტს მეზი პლუსი აქვს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ ქართულ-აზერბაიჯანულ-ყაზახური ნინასწარი შექმნის იდეა გააცოცხლა. ამას ქართული საფეხბურთო წრეების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა: უმრავლესობა იდეას ეწინააღმდეგება, ვეტერანი ფეხბურთელი არჩილ არველაძე კი მიიჩნევს, რომ ეს პერსპექტიული პროექტია.



- გასაგებია, რომ ქართულ ფეხბურთს „ჩაეტმასა" მდგომარეობიდან გამოსავალი ესაჭიროება. მაგრამ რამდენად შესაძლებელი იქნება ეს აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან ერთად?

- ალბათ, ყაზახეთი ამ პროექტში არ ჩაერთვება და ვფიქრობ, უფრო ქართულ-აზერბაიჯანული წემმეორნაირი ჩარაღდება. და თუ მის პლუსებსა და მინუსებზე განვიხილავთ, დადებითი მხარე გადაწონის. მეტი იქნება ფინანსებში და დაბაბულობა მატჩებში, რაც ფეხბურთის ზრდის წინაპირობაა. იქნება მეტი სპონსორი, რეკლამა, ტელევიზიით გაშუქება და მაყურებელი. შესაბამისად, ჩვენს ორ ქვეყანას შორის, ბიზნესის კუთხითაც ურთიერთობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

- მინუსებიც იქნება. ბევრი დარწმუნებული, რომ ერთნელი კუთხით თამაშების დაომხმა წესად იქცევა.

- გასაგებია, რომ მინუსები იქნება, მაგრამ შესაძლებელია ისეთი სისტემის მოფიქრება, რომლითაც გუნდები მატერიალურად დაინტერესდებიან და ასეთ შემთხვევაში, მსგავსი მოვლენების საფრთხე მინიმუმამდე შემცირდება.

- თუ ეს პროექტი განხორციელდა, რა ბედი ელის საქართველოს ჩემპიონატს?

- საბჭოთა კავშირის დროს ხომ ტარდებოდა ერთნელი ჩემპიონატი? ახლაც ასევე ჩატარდება. გუნდებს შეეძლოთ პერსპექტივა და წარმატების შემთხვევაში, უკეთეს ლიგაში დანინაურებიდნენ – ასევე იქნება ახლაც. მინანცირებას, სპონსორობასა და ტელეგადაცემებს ასევე გადანანილება.

- სიმპათიც გაიხსნას, ძალიან მეკუთვნის, რომ ეს პროექტი უეფამ მოიწონოს.

- არის ამაზე ბჭობა და ჯერ უეფაც გაურკვევლობაშია. შესაძლოა, ვილაპარაკოთ მოცნობოს, ვილაცებმა დაიწუნონ. მაგრამ უეფას კეთილი ნება ხომ გვაქვს და ვფიქრობ, ეს მოეწონებათ. ნებისმიერ შემთხვევაში ოფიციალურად ჯერ განაცხადი არ გაგვიკეთებია.

- ამ იმას ვამბობ, რომ გაერთიანება ცუდი არაა. გასაგებია, რომ უამრავი კითხვაა, რომელზეც პასუხები ნინასწარ უნდა ვიცოდეთ, მაგრამ ამ საკითხზე ისეთი ხალხის კომენტატორს ვისმენ, ვისაც პროექტი არ ნაუკითხავს, ხიუანსები არ იცნობ და უბრალოდ, ამბობენ - იდეა მოულებელია.

- პროექტი არც გამოქვეყნებული და ისიც უცნობია, ვისთან ერთად გაზორციელებდა მას. ევროტურნირებზე კეთება როგორ გადანანილდება?

- მარტივად: თუ ახალ ჩემპიონატში პირველ რვა ადგილს აზერბაიჯანულ კლუბები დაიკავებენ, ჩვენები - ბოლო რვა ადგილს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველებში საუკეთესო გუნდი, ანუ შეცხრაედგილასან გავა. დანარჩენი საგზურებიც ასევე გადანანილდება. ანუ კეთება არც ერთი ქვეყანა არ კარგავს.

- სიმპათიც გაიხსნას, ძალიან მეკუთვნის, რომ ეს პროექტი უეფამ მოიწონოს.

- არის ამაზე ბჭობა და ჯერ უეფაც გაურკვევლობაშია. შესაძლოა, ვილაცებს ეს მოეწონოს, ვილაცებმა დაიწუნონ. მაგრამ უეფას კეთილი ნება ხომ გვაქვს და ვფიქრობ რეა ადგილი ეკუთვნოდა და გაერთიანების შემთხვევაშიც იგივე განაწილება უნდა დარჩეს.

- მერე უეფა ამას დაუშვებს? მისი პრინციპია - ჩემპიონატი ერთმა ფედერაციამ ჩაატაროს და ერთი კეთება მიიღოს.

- თუ ეს არ შენარჩუნდება, ცხადია, მაშინ იდეა არ იარსებს. მაგრამ უეფას ანყობს, რაც შეიძლება მეტი მდიდარი და მომგებიანი კლუბი ჰყავდეს. ჩვენეთი ევროპაშია და კლუბებს იქაც უყირათ. "სელტიკსა" და "რეინჯერს" ინგლისის პრემიერლიგაში განევრიანება სურთ, მაგრამ ასე მოტლანდიის ჩემპიონები ძალიან დასუსტდებოდა და უეფა ამიტომ შეეწინააღმდეგა.

- ჩაგარების პრინციპიც გაუგებარია - გავარდნილი გუნდები ნაცვლად ვინ ითამაშებს?

- ამაც კეთებები იქნება: ორივე ქვეყნის პოლო ორ გუნდს მისივე ჩემპიონატიდან ორი სუსუკეთესო დაემატება. ანუ რვაორგა გუნდი შენარჩუნდება.

- როგორც ქართულ და აზერბაიჯანულ გუნდს პრინციპულ შეხვედრა ექნებათ, რომელი ქვეყნის მსაჯი განსჯის ობიექტურად?

- იდეა ისეთია, რომ ქართული გუნდების მატჩები აზერბაიჯანელმა განსაჯონ, აზერბაიხა კი - ჩვენებმა. ხოლო, თუ ბაქოში თბილისის "დინამო" "ნეფთჩის" შეხვდება, ის ქართველ არბიტრს მივანდოთ, მაგრამ ქუთაისში "ტორპედოსა" და ვიტესთან, ნეზერთანის "ხაზრის" მატჩი - აზერბაიჯანელს. ანუ ეს იქნება ერთგვარი დამსგავი და პასუხისმგებლობის ამაღლების მეკანიზმი, რადგან სხვა ქვეყანაში მატჩის "გაფუქრებას" ყველა მოერიდება. ამაგე დროს, არბიტრის უსაფრთხოებაც გათვალისწინებული იქნება - შეცდომისგან ხომ არავინაა დაზღვეული. სხვათა შორის, თურქეთში მსაჯის შეურაცხყოფისთვის გუნდს 5 მილიონით სჯიან, სტადიონს 10-მატჩიან დისკვალიფიკაციას უნერგნენ და უეფაზე ალარ უშვებენ.

იდეალური იქნებოდა ამ პროექტში სომხეთიც რომ იყოს ჩართული. მაშინ კავკასიური ლიგა უმაგრესი ტურნირი გახდებოდა. მაგრამ რას ვიზამთ.

- ალბათ, ამაზე არც გილაპარაკიათ.

- აზერბაიჯანელები და სომხები ერთ მაგიდაზე არ სადილობენ და დალაპარაკებას რა აზრი ჰქონდა? იდეაში, ამ ტურნირში მთავარი ფული აზერბაის უნდა იყოს, რომელებიც სომხებთან ამ საკითხზე არც დაილაპარაკებენ.

- მარტო ბაქოს "ნეფთჩის" ბიუჯეტი უფროს ყველა ქართული კლუბის ერთად აღებულ ბიუჯეტს. არ გიფიქრიათ, რომ ჩვენს კლუბებს ნინასწარ ნასაგებად განნირულ ტურნირს სთავაზობენ?

- აზერბაიჯანელ კლუბებს უფრო მეტი ბიუჯეტი აქვთ, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის ბევრ მონაწილეს. ანუ დიდი ფულის არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ჩვენ ბევრად გვჯობიან. ხომ ვიცით, რომ ნიჭით კაკეასიაში ქართველს ბევრი ვერ შეეჯიბრება და პლუს, საოსნოვის მოზიდვისა და ბიუჯეტის გაზრდის პერსპექტივა გვაქვს. მთავარი პრობლემა - მე და მთთა თურქეთში რომ ჩავედით, იქაური ლიგის საბეღლეებით ბიუჯეტი 12 მილიონი დოლარი იყო, ახლა 375 მილიონი ევროა! ეს თანხა 18 გუნდზე იდგილების მიხედვით ნანილდება და თითოეულს საკმაოდ დიდი შემოსავალი გამოსდის.

- სატელევიზიო სიგნალის უფლება რომელ ქვეყანას ექნება?

- ორივე ქვეყნის ტელევიზიას. ჩვენს კლუბებს ნნირი ბიუჯეტები აქვთ და მვონია, რომ ასეთ შემთხვევაში, სატელევიზიო შემოსავლებით პრობლემებს ნანილობრივ მაინც მოაგვარებენ. მოკლედ, მიმპრია, რომ ამ პროექტს გაცილებით მეტი პლუსი აქვს, ვიდრე მინუსი, ჩანაფიქრი თამამები იქნებიან - ამბობენ, მაგრამ დამოუკიდებელ ჩემპიონატებში ეს პრობლემა არ ანუხებთ? გარავებები ყველგან არის და და ზღვეული არც ჩვენ ვიქნებით. მაგრამ თუ პრემიალური თანხა ადგილების მიხედვით განაწილდება, ნაკლებ თანხას აიღებენ. კომერციული მოტივაცია კლუბებს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მაქსიმალურად დაიცავს.

- თუ აზერბაიჯანთან გაერთიანებაზეა ლაპარაკი, სიჭინავამ საიდან ახსენა მოლდოვა და უკრანა-რუსეთი?! მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჯერ ეს ყველაფერი მხოლოდ იდეის დონეზეა და პროექტად არც დაწერილა.

- პირადად მე ეს ლიგას ქართულ კლუბებს სიამოვნებით შევეულრებოდი. მაგრამ ახლა მხოლოდ აზერბაიჯანთან გაერთიანებაზეა ლაპარაკი, რუსეთ-უკრანაში შესვლის შანსი კი არ არის, რადგან მათ ლიგაში ჩვენს ეროსაგზურების კეთება არ დაეცადეთ.

მერაბ მამულაშვილი

● ისევ გაერთიანებული ჩემპიონატის შანსებ

ჩვენ და აზერბაიჯანი:
დიდი განსხვავება ფინანსებში



საქართველოსა და აზერბაიჯანის გაერთიანებული პრემიერლიგის იდეამ ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მიზეზი ფინანსების ძრნე, ქვეყნების შორის არათანაბარი მდგომარეობაა.

დღეს აზერბაიჯანელი კლუბები ფინანსურად ჩვენზე მაღლა დგანან, ბევრად მაღალი ბიუჯეტი აქვთ, უკეთესი ლეგიონერებითაც არიან გაძლიერებულები... შესაბამისად, ჩვენზე უკეთეს სასტარტო მდგომარეობაში იმყოფებიან. ცნობისთვის, აზერბაიჯანში ყველაზე ზე ღარიბი კლუბის მილიონებს 2-3 მილიონი დოლარია, ჩვენში კი ამხელა თანხის მქონე კლუბს მილიონებს ვეძახით. ბაქოს "ინტერის" დამრიგებელმა **ჯახა ცხადაძემ** დააზუსტა: "რამდენადაც ვიცი, ბაქოს "ნეფთჩის" ბიუჯეტი 25 მილიონია, ბაყრამ არ ვიცი, ამდენი ფული ერთად აღებული ყველა ქართული კლუბის თუ ეცნებება?"

ამბობენ, რომ ბაქოს ნინააღმდეგ ტურნირში მთავარი ფული აზერბაიჯანის კლუბებს მიეცემათ, მაგრამ ეს ასე არაა. ახლა, რაც შეეხება კლუბების ბიუჯეტებს. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, აზერბაიჯანში მინიმალური ბიუჯეტი 3 მილიონი დოლარია, მიახლოებითი მონაცემები კი ასეთი გახლავთ.

აზერბაიჯანელები

1. ბაკი	7 700 000
2. ყარაბაღი	7 500 000
3. გაბალა	7 200 000
4. ნეფთჩი	6 050 000
5. ხაზარი	5 775 000
6. სუმგაით	4 075 000
7. სიმურგი	3 875 000
8. ალაზი	2 650 000
9. რაშანი	2 550 000
10. სუთაი	1 400 000
11. სამგაილი	1 200 000
12. ქუსარი	925 000
ჯამი	**50 900 000**
ლეგიონერების რაოდენობა	**36,8 %**

საქართველოელები

1. დინამო	10 175 000
2. დილა	6 225 000
3. ზესტაფონი	5 675 000
4. ტორპედო	4 900 000
5. მთბილისელები	3 275 000
6. ჩიხურა	2 875 000
7. სიონი	2 550 000
8. ბათუმი	2 225 000
9. შიბ ჯარიანი	2 100 000
10. ზუგდიდი	1 950 000
11. მთრანი	1 550 000
12. კოლხეთი	1 375 000
ჯამი	**44 875 000**
ლეგიონერების რაოდენობა	**7,5 %**

შენიშვნა: ცხრები მოცემულია ევროში

ახლა, რაც შეეხება კლუბების ბიუჯეტებს. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, აზერბაიჯანში მინიმალური ბიუჯეტი 3 მილიონი დოლარია, მიახლოებითი მონაცემები კი ასეთი გახლავთ.

აზერბაიჯანელები

1. ნეფთჩი	25 მლნ $
2. ხაზარი	25 მლნ $
3. გაბალა	20 მლნ $
4. ბაკალა	20 მლნ $
5. ქარაბაღი	15 მლნ $
6. ინბანი	12 მლნ $
7. სიმურგი	6,5 მლნ $
8. უხალი	3 მლნ $
9. რაშანი	3 მლნ $
10. სუთაი	3 მლნ $
11. სუმგაითი	3 მლნ $
12. ქიშლაღი	3 მლნ $
ჯამი	**138,5 მლნ $**

შენიშვნა: თანხები მოცემულია დოლარებში

საქართველოელები

1. დინამო	8,3 მლნ $
2. დილა	6 მლნ $
3. მოკალდრე	4,8 მლნ $
4. ზესტაფონი	3,3 მლნ $
5. მთბილისელები	3 მლნ $
6. ჩიხურა	3 მლნ $
7. ბათუმი	1,6 მლნ $
8. სიონი	1,3 მლნ $
9. შიბ ჯარიანი	1,2 მლნ $
10. მთრანი	0,8 მლნ $
11. ზუგდიდი	0,7 მლნ $
12. კოლხეთი	0,3 მლნ $
ჯამი	**34,3 მლნ $**

შენიშვნა: თანხები მოცემულია ლარებში

ქართული კლუბების საბიუჯეტო მონაცემები სხვადასხვა წყაროდან მოვიხეთ, თუმცა ზუსტი ცინობების მოპოვება ძნელია. და მაინც: აზერბაიჯანთან ჩამორჩენა თვალსაჩინოა. "გაბალაში" თამაშობდა შოტლანდიელი მეკარე **გრემ სმიტი**, რომელიც ამბობს: "გაბალაში" გამოსულიას მივედი, შოტლანდიური კლუბები სახლობს ის ეგეთ ტურნირ ფეხბურთს. ბურთ მეტი თანხებით აზერბაიჯანელები სტადიონზე მყაურებლის მოზიდვას ვერ ახერხებენ. მათ ლიგებზეც მე, ბიბიოლეთი, მ. ჩხარტიშვილი (75. ნ. ბავერიანი), ზ. ყიფიანი (86. ნ. ბაქრაძე) და ბიბიოლეთი (მ. ბ. ბაქრაძე) და ბიბიოლეთი (მ. ბ. ბაქრაძე) და ბიბიოლეთი (მ. ბ

● ტრანსფერი

სებასტიან როდე

როდე 2014-ში ბაიერნში!

მიუნხენელები სებას ხელში უფასოდ ჩაიგდებენ

ის,რაც გადაწყვეტილი ჩანდა,გუშინ ოფიციალურად დადასტურდა: „აინტრახტის“ 22 წლის უნიჭიერესი საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან როდე** ფრანკფურტული კლუბთან ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის ზაფხულში „აინტრახტიდან“ წავა. ეს ცნობა გუშინ ფრანკფურტელთა მენეჯერმა **ჰერიბერტ ბრუხჰაგენმა** დაადასტურა - როდემ მითხრა, რომ 2014 წლიდან სხვა გეგმები აქვსო.

გერმანული მედია ასი პროცენტით დარწმუნებულია იმაში, რომ როდე მიუნხენის „ბაიერნში“ გადავა - თანაც, უფასოდ! „ბილდის“ ინ ფორმაციით, „აინტრახტის“ შეფები ეცდებიან, რომ მოუხნელებლებ როდეს ფრანკფურტში არენდით დატოვება სთხოვონ...

გოტფრიდ ლენცი

● ამბები

ფლორენტინი: გადაწყვეტილია, რონალდო რჩება

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** კლუბის უახლოეს გეგმებზე გულმტკივნეულად შეხვედრაზე ისაუბრა.

„სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი შეეხო **კრისტიანო რონალდოს** თამასაც. მოგეხსენებათ, პრესაში ხშირად იწერება, რომ პორტუგალიელი შეიძლება, „პარი სენ-ჟერმენში“ გადავიდეს, ან კიდევ ყოფილ გუნდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუბრუნდეს.

„კრისტიანოსთან კლუბის ხელმძღვანელობას საერთოდ არ აქვს პრობლემა. რა თქმა უნდა, ის კარიერას „რეალში“ გააგრძელებს!“

სხვათა შორის, გულმტკივნეულია ისიც, რომ თუ საჭიროა, რონალდოს შესანარჩუნებლად თანხის მოგროვების კამპანიის წამოწყებენ. რაზეც პერესმა მიუგო, რომ ყველა ფინანსურ საკითხს კლუბი თავად გადაწყვეტს.

ველასის ფეხბურთელს მოედანზე ეპილეფსიური შეტევა მოუვიდა

არგენტინის ჩემპიონატის მორიგ ტურში კინალამ ტრაგედია დატრიალდა. „ელეს სარსფილდი“ „ნიუელს ოლდ ბოისთან“ 1:3 დამარცხდა, ფეხბურთელები გასახდელში მიემართებოდნენ, როცა „ელეს“ 23 წლის გარემარტ **ივან ბელიას** ეპილეფსიური შეტევა მოუვიდა.

ფეხბურთელი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. ივან ბელია არგენტინის ნაკრების კანდიდატია, მისით „ნიუკასლ იუნაიტედი“ დაინტერესებულა.

ნიკოლოზ ნეშარიძე

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტური შეჯამება

შაპის დღეები დათვლილია?

ვერდერი შავ დღეშია, კისლინგი - კირსტენის გზაზე

თითქმის 14 წელია, რაც **თომას შაფი** ბრემენის „ვერდერის“ მთავარი მწვრთნელია, მაგრამ მისი და ბრემენული კლუბის თანამშრომლობა დაუსრულებელი ალარ გვეჩვენება. „ვოლფსბურგთან“ 0:3-ზე განადგურების შემდეგ საფებურთო გერმანიაში ღიად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ 51 წლის შაფის დღეები „ვერდერის“ თავკაცის რანგში დათვლილია. საქმე იმაშია, რომ „ვერდერს“ უკვე 9-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, გასავარდნი ზონის სიახლოვეს ტრიალებს და ფაქტობრივად ცეცხლს ეთამაშება.

„გუნდს ვერაფრით ვაპატიებ იმას, რაც „ვოლფსბურგთან“ შეხვედრაში ვნახე. ფეხბურთელებმა მწრთნელს ზურგი აქციეს! დღეს ისე ცუდად ვითამაშეთ, რომ უკვე სერიოზულად მეშინია, მეორე ბუნდესლიგაში არ აღმოვჩნდეთ," - განაცხადა მატჩის შემდეგ ბრემენელთა მენეჯერმა **თომას ალბინმა**.

ამ 14 წლის განმავლობაში შაფს ასეთი უმიდო გამომეტყველება არასდროს ჰქონია. „ვერდერი“ განსაკუთრებით მეორე ნახევარში გაუფერულდა, თამაშებს ვერაფრით იგებს და ბუნდესლიგაში ყველაზე მეტ გოლს უშვებს. შაფმა, რა თქმა უნდა, ბევრი რამ სცადა, მაგრამ მისი ყველა ქმედება კრახით მთავრდება. 10 თამაშია, „ვერდერს“ კარი მშრალად არ შეუნახავს, ბოლო ხუთ შეხვედრაში კი 10 გოლი გაუშვა. შაფი ფეხბურთელების მოტივირებასაც შეეცადა - **ელჯერო ელია და მარკო არნაუტოვიჩი** რამდენიმე კვირა სკამზე დასვა, მაგრამ ამან ფეხბურთელებზე უარესად იმოქმედა. თომასმა ტაქტიკა და განლაგებაც არაერთხელ შეცვალა, მაგრამ უშედეგოდ.

„თუ მე ვარ პრობლემა, გადავდგები! გუნდის ფაქტორი ჩემზე გაცილებით მნიშვნელოვანია. „ვერდერს“ თითქმის 14 წელია ვემსახურები, მაგრამ გადადგომა არ გამიჭირდება," - ეს თავად შაფის სიტყვებია. თუმცა ხელმძღვანელები მის გათავისუფლებას (ჯერ) არ აპირებენ. ირინმა თქვა, რომ თომასს ჯერ კიდევ ენდობა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს დიდხანს აღარ გაგრძელდება. მომდევნო ტურში „ვერდერი“ „ლევერკუზენს“ სტუმრობს და იქაც რომ დამარცხდეს, თუ მანამდე არ ნავიდა, შაფს მერე ნაღდად ვეღარავინ გააჩერებს.


დასრულდება თომას შაფის 14-წლიანი ბრემენული ერა?

კისლინგს ლეგენდამდე 2 გოლი აკლია

„ჰოფენჰაიმთან“ მატჩში შესრულებული დუბლის შემდეგ, „ლევერკუზენის“ გოლეადორი **შტეფან კისლინგი** (21 გოლი ამ სეზონში) კლუბის ლეგენდის სტატუსს მოუახლოვდა. კიდევ ორი გოლიც და კისლინგი „ბაიერის“ რეკორდსმენ **ულფ კირსტენის** რეკორდს მოხსნის! საქმე იმაშია, რომ კირსტენმა ორჯერ შეძლო ერთ სეზონში 22-22 გოლის გატანა და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი (1997, 1998) გახდა, კისლინგს კი ამ სეზონში უკვე 21 გოლი აქვს და ახალი რეკორდის დასამყარებლად კიდევ 4 ტური აქვს.

„გავიგე, რომ ულფი ძალიან ნერვიულობს. უნდა დავურეკო და მოვიკითხო," - თქვა კვირას კისლინგმა, რომლის გერმანიის ნაკრებში დაბრუნებასაც უკვე მთელი საფებურთო გერმანია ითხოვს.

„შტეფანი ძალიან მაგარი თავდამსხმელია და მიმაჩნია, რომ არა მარტო რეკორდს, არამედ ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირობასაც იმსახურებს. კისლინგის გარეშე „ლევერკუზენი“ ვერ წარმომიდგენია," - ეს თავად კირსტენის სიტყვებია, რომელსაც „ლევერკუზენის“ ფორმით ჯამში 182 გოლი აქვს გატანილი...

გოტფრიდ ლენცი

შტეფან კისლინგს მიმდინარე სეზონში 21 გოლი აქვს გატანილი

საუკეთესო ფეხბურთელები

XXX ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	შეფ.	ს/მ
1. ზრანკა რიბერი	ბაიერნი	24	2.18
2. ჯეკი ტრაკი	ვერდერი	26	2.40
3. მარიო გომესი	დორტმუნდი	28	2.46
4. რაფა ალკანტარა	ლევერკუზენი	29	2.67
5. ფრენკ რიბერი	ბაიერნი	27	2.77
6. ჯერომ ბოატენგი	ბაიერნი	22	2.78
7. ტონი კრუზი	ბაიერნი	24	2.78
8. ბასტიან შვაინშტაიგერი	ბაიერნი	26	2.80
9. მიშაელ ბალაკი	ბაიერნი	25	2.80
10. დენის ზაკარია	ბორუსია მგლ.	30	2.83

ფეხბურთელი	კლუბი	თამ.	გ.	პ.	ქ.
1. შტეფან კისლინგი	ლევერკუზენი	30	21	10	31
2. რობერტ ლევანდოვსკი	დორტმუნდი	27	23	7	30
3. მიშაელ მორლოკი	ბაიერნი	25	12	12	24
4. მარიო გომესი	დორტმუნდი	28	10	12	22
5. ილკაი გიუნდოგანი	დორტმუნდი	23	10	11	21
6. მარკო როისი	დორტმუნდი	28	12	9	21
7. სანდრო ვაგნერი	ბაიერნი	21	9	11	20
8. ზრანკა რიბერი	ბაიერნი	24	8	11	19
9. ვედად იბიშევიჩი	შტუტგარდი	27	13	4	17
10. მაქს კრუზე	შალკე	30	10	7	17

XXX ტურის გმირი

ოჯა ნიკოლოვი (აინტრახტი)

ზედიზედ მესამე ტურია, „აინტრახტის“ კარს ვეტერანი **ოჯა ნიკოლოვი** იცავს და ზედიზედ მესამე ტურია, თითქმის 39 წლის მეკარეს თერთმეტმეტრიანს ვერ უტანენ. ნინის ნინა ტურში ძელს მოარტყეს, ნინა ტურში აიცილეს, ახლა კი პენალტი თავად აიღო - **მიშელ ბასტოსს** ათული, რითაც ფრანკფურტულ კლუბს „მაღლასთან“ 3 ქულა გადაწერინა. მანამდე, ნიკოლოვს პენალტები **ჯასტინ-ჰაჯარდს** (ლუსერნი) და **ალბამ** (ბაიერი) ვერ გაუტანეს და რა გასაკვირია, რომ ასეთ რამ ბუნდესლიგის ისტორიაში პირველად მოხდა. „ამაში ფანტასტიკური არაფერია, უბრალოდ გამიმართლა," - მოკრძალებულად თქვა ოჯამ, მაგრამ მისი საერთო შედეგი ნამდვილად არაა მოკრძალებული: 33 პენალტიდან ნიკოლოვს 9 მოგერიებული აქვს და ამ შედეგით მან **ზეკ მაიერის, ული შტაინისა** და **იორგ ბუტის** მიღწევები გაიმეორა, ბუნდესლიგის ამჟამინდელ მეკარეებს შორის კი სულაც საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. „აინტრახტის“ ნელმძღვანელები 39 წელს მატანებულ ნიკოლოვს, რომელიც ახლა ტრავმირებულ **კევინ ტრაპს** ცვლის, ონტრიაქს ეიდევ ერთი ნლით უგრძელებენ.

ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით

სკუდეტო ხელის განვლენაზე

ფეერიული ტური და უფერული კლასიკო

არტურო ვიდალის პენალტი აუღებელი იყო

XXXIII ტურის ცენტრალური შეხვედრა კვირას გვიან ღამით გაიმართა და მასზე მიმოხილვაში არაფერი გვიღირს. ამიტომ, ჯერ „იუვენტუსი"-"მილანს" ჯახზე შევჩერდეთ და შემდეგ, სხვა თემებსაც შევეხოთ. ერთი კია, იტალიური ფეხბურთის კლასიკად შერაცხილი მატჩი მეტად მოსაწყენი გამოდგა...

მოსაწყენი კლასიკო

თუ არტურო-"მილანის" თამაში „დერბი დელა მადონინაა", ხოლო „ინტერი"-"იუვეს" ჯახი დიდი იტალიური დერბი, მაშინ „იუვენტუსი"-"მილანს" თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ: იტალიური ფეხბურთის კლასიკო...

თამამად შეიძლება ითქვას ისიც, რომ გასულ ტურში ყველაზე უფერული მატჩი სწორედ ტურინში გაიმართა და თამაშის პირველებმაც საოცრად ბევრი არაფერია. ორივე გუნდი უხეიროდ უტევდა, ერთადერთი გოლი კი მასპინძლებმა თერთმეტმეტრიანით გაიტანეს. მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა **კვადვო ასამოამ მარკო ამელიას** თამაშის წესი დაარღვევინა, უმალვეს საფეხბურთო სასჯელი კი გოლად **არტურო ვიდალმა** აქცია. „მილანს" ჰქონდა საკმარისზე მეტი დრო გასაკქმელებლად, მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომხდარა - **მასიმილიანო ალეგრის** მეგირწებმა თამაში ფაქტობრივად უმასწოდ ნაადეს.

მოკლედ, თითზე ჩამოსათვლელი მომენტების აღნერას აღარ შევუდგებით და მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას:

***ანტონიო კონტემ** კვლავაც 3-5-1-1 ტაქტიკა აირჩია და როგორც ჩანს, „იუვეს" თავაცქმას საბაზისო სქემა შეეცალა.

*თერთმეტმეტრიანი არტურო ვიდალმა შეასრულა და ეს მოუხედავად იმისა, რომ იმ დროს, **ანდრეა პირლო** მოედანზეც იყო. როგორც ჩანს, „იუვეს" ახალი შტატიანი პენალტისტი ჰყავს.

*ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, „იუვენტუსის" დაცვის ხაზში ძირითადი შემადგენლობის სამივე ფეხბურთელი გაისარჯა: **ანდრეა ბარზალი, ლეონარდო ბონუჩი, ჯორჯიო კიელინი**.

*მიმდინარე სეზონში, **კევინ პრინს ბოატენგი** შეტევაში, გარეშპრის პოზიციაზე ირჯვებოდა, „იუვენტუსთან" კი **მასიმილიანო ალეგრიმ** ის ნახევარდაცვამ დაწია.

*მატჩის მე-15 წუთზე, **კრისტიან ებიატი** დაშავდა და მის ნაცვლად, კარში მარკო ამელია ჩადგა. სწორედ ამელიამ აიკიდა თერთმეტმეტრიანი და მსაჯმაც აბსოლუტურად სწორი გადწყვეტილება მიიღო.

*თუ მომდევნო ტურში „ნაპოლი" ქულებს დაკარგავს, ხოლო „იუვენტუსი" გაიმარჯვებს, ტურინელი გრანდი ჩემპიონი ხდება.

ანტონიო კონტე (იუვენტუსი): „არა მგონია, რომ მომდევნო ტურში ჩემპიონები გავხდეთ და სიმართლე გითხრათ, ამაზე არც ვფიქრობ. მთავარია, ჩვენი საქმე კარგად გავაკეთოთ და დანარჩენი თავისთავად მოხდება. „იუვენტუსი" იტალიაში საუკეთესო გუნდია და ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა".

მასიმილიანო ალეგრი (მილანი): „ვიყოთ რეალისტები და ვალიაროთ, რომ მეორე ადგილზე გასვლის რეალური შანსი დავკარგეთ. ჩვენი მიზანი მესამე ადგილის შენარჩუნება და იმედია, ამ პრობლემის მალინც გავართმევთ თავს. „იუვენტუსმა" სეერიებში გადაგვიკუტა და ტიტულები ძალიან გაგვიჭირდა - თუმცა, მოგებადაყად ამისა, რამდენიმე მომენტი გვქონდა. ნინ კიდევ ხუთი ტური და ყველაფერი დარჩენილი შეხვედრების ბაირკვეზე".

ტურის მატჩი

ტურის გმირი 23 წლის თავდამსხმელი **ლორენცო ინსინიეა**, რომლის გოლმაც „ნაპოლის" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. **ვალტერ მაცარის** გუნდი „ყალიარის" ვერ ამარცხებდა, როდესაც თამაშში ინსინიე ჩაერთო და მასპინძელთა იერიშები მკვეთრად გააძლავა. ახალგაზრდა ფორვარდმა მარცხენა ფრთა დაიკავა და იქიდან ცდილობდა სახიფათო შეტევების წამოწყებას. მაყურის მიერ დამატებული მეოთხე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ინსინიემ ჩვეულად ნაილო ბურთი ფლანგიდან ცენტრის მიმართულებით (არიენ რობენის სტილში) და უძლიერესი დარტყმით ბურთი სარდინიელთა კარის ცხრილში ჩაჭედა. მართალია, ლორენცოს რეკომენდაციას დაეხმარა, მაგრამ ეს მის გარჯას ვერაფრით აკნინებს. ნამატჩვენს, ინსინიე მეცხრე ცაზე იყო:

„ვერაფერი გამოვდიოდა ეიფორიიდან, რადგან გოლი თამაშის დასრულებამდე ნამებით ადრე გავიტანე. ძალიან მნიშვნელოვანი ქულები ავიღეთ და კიდევ უფრო გავიძაერთ პოზიციები. „მილანს" ტურნირი მოგება გაუჭირდება და შესაძლოა, ამ გამარჯვებით ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობაც კი გავინაღდეთ".

ტურის გაქცევა

ვაგრძელებთ „ნაპოლის" თემას და ინსინიეს სიტყვებს ვუბრუნდებით - „მილანს" მართლაც გაუჭირდა ტურინში მოგება და მარცხი ინვნია, რამაც მისი „ნაპოლისთან" ჩამორჩენა შეიდ ქულამდე გაზარდა. დიდი ალბათობით, ეს გადამწყვეტი გაქცევაა და ნეაპოლელებს მეორე ადგილში უკვე ვეღარავინ შეეცილება. დაახლოებით ამავე აზრზეა ვალტერ მაცარიც, რომელმაც კომენტატორ ტურნირული მატჩის დასრულების შემდეგ განაცხადა:

„პრობლემების კეთება არ მიყვარს, მაგრამ მეორე ადგილზე რომ მყარად მოვიკიდეთ ფეხი, ფაქტია. ძალიან უნდა მივენდომოთ, რომ ეს პოზიცია დავეთმოთ და იმედია, ასეთი სურვილი არ გაგვიჩნდება. ვამპაობ ჩემი გუნდით, რომელიც პროგრესირებს და ახალ სიმაღლეებს იპყრობს. მომდევნო სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზებთ, სადაც აუცილებლად დავამტკიცებთ ჩვენს ძალას. თუმცა, იქამდე სეზონია ჩასამთავრებელი და მთელი ყურადღება დარჩენილ ხუთ თამაშზე უნდა გადავიტანოთ".

ტურის ამბავი

ტურის მთავარი სიახლე **მასიმო მორატის** ბაგეებიდან გავიგეთ: **ანდრეა სტრამაჩონი** მომდევნო სეზონშიც „ინტერის" მთავარი მწვრთნელი იქნება. ვეყვრობთ, ეს გადაწყვეტილება სეზონის მასიმოს აქამდეც ჰქონდა მიღებული, „პარმასთან" გამარჯვებამ კი ინფორმაციის საჯაროდ გაცხადების სითამამე მისცა. ასეა თუ ისე, სტრამაჩონის მიაღწია უმთავრესს და მოუხედავად ზედეწებული სეზონისა, პოსტი შეინარჩუნა. მორატის თქმით, მიმდინარე სეზონში ანდრეამ კოლოსალური გამოდგება დაადგროვა, რომელიც „ინტერსაც" უნდა მოახმაროს...

ფლორენციელთა ფიესტა მეოთხე გოლის შემდეგ

ციფრები და ფაქტები

- 2013 წელს, „მილანმა" პირველი მატჩი ნაადო სერია A-ში.
- სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, „იუვენტუსის" სასარგებლოდ ყველაზე მეტი, 10 თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. მეორე-მესამე ადგილებს „ფიორენტინა" და „ყალიარი" იყოფენ, მათ სასარგებლოდ მსაჯებმა 9-ჯერ დანიშნეს პენალტი.
- პირველად მიმდინარე სეზონში, „იუვენტუსმა" მოგრით მეექვსე შეხვედრა მოიგო.
- **ედინსონ კავანიმ** მე-100 მატჩი გამართა „ნაპოლის" მისურით სერია A-ში.

2013 წელს, „ნაპოლის" საკუთარ მოედანზე არ ნაუგია.

- „ყალიარის" „ნაპოლისთვის" 2009 წლის შემდეგ არ მოუგია.
- **ხავიერ ძანნატიმ** 1100-ე მატჩი გამართა კარიერაში და ამ მაჩვენებლით, მე-4 ადგილზე გადაინაცვლა ყველა დროის ფეხბურთელებს შორის. არგენტინელის წინ მხოლოდ **რეი კლემენსი** (1118), **რობერტო ყარლოსი** (1127) და **პიტერ შილტონი** (1390) არიან.
- „პარმამ" „ინტერთან" ბოლო 7 გასვლითი მატჩი ნაადო.
- **ანტონიო დი ნატალემ** „ლაციოს" ზედიზედ 8 შეხვედრაში ვაუტანა.
- „ლაციომ" მიყრით 5 გასვლითი მატჩი ნაადო.
- „ლაციოს" უდინეში 2007 წლის შემდეგ არ მოუგია.
- რომში მიღწეული ფრით, „პესკარამ" 8-მატჩიანი ხაგებათა სერია შეწყვიტა.
- „კატანიამ" 48 ქულა დააგროვა, რაც ამ გუნდის საროკეო მაჩვენებელია სერია A-ში.
- „ატალანტამ" ბოლო 12 გასვლითი მატჩიდან პირველი დაასრულა ფრედ.
- **ფრანსეელიმო მაიუზალემმა** „ჯენოადან" მე-200 მატჩი გამართა სერია A-ში.
- „სიენამ" 6-მატჩიანი ნაუგებელი სერია შეწყვიტა.

ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით

ესაანეთი

ლა ლიგა. XXXII ტური

სპლბა-სარაგოსა	2:1

გოლები: 0:1 სებუნარუ (26), 1:1 ა. ლიპერი (37), 2:1 ბერმეხი (91)

სელტა (4-2-3-1): ვარასი - ხონი (77. პარკი), ვიდალ, ტუნესი, ლაგო - ოუბინა, ნოსა - ა. ფერნანდესი, ა. ლოპესი (60. ორელიანა), კორნ-დელი (84. დე ლუკასი) - ბერმეხი.

სარაგოსა (4-2-3-1): რობერტო - სებუნარუ, ლოიოლანი, პარდეში, აბრაამი - პინგარო, მოელია (68. ბაბოიჩი) - რონინი (60. ვ. როდრიგესი), აბონო, მონტანეისი (87. როდრი) - პომბეგა.

გაფრთხილებები: ხონი, ოუბინა, ნოსა, ვილა, პარკი - სებუნარუ, მოელია, პარდეში, პინტერი

კუთხური: 4-5; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშეარენა:** 6-5; **კარში დარტყმა:** 11-8 (4-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 17 500

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	32	27	3	2	99-33	84
2. რეალი	32	22	5	5	83-30	71
3. ატლეტიკო	32	21	5	6	57-25	68
4. სევილია	32	15	10	7	57-39	55
5. ვალენსია	32	15	8	9	52-46	53
6. მალაგა	32	14	8	10	45-37	50
7. ბეტისი	32	14	6	12	48-49	48
8. ვალენსია	32	14	3	15	41-52	45
9. ხეტაფე	32	12	8	12	39-48	44
10. ესპანიოლი	32	11	10	11	42-42	43
11. სპორტინგი	32	12	6	14	48-46	42
12. ლევანტე	32	11	7	14	35-51	40
13. ვალიადოლიდი	32	10	9	13	41-45	39
14. მინეხაო	32	10	6	16	35-57	36
15. ოსასუნა	32	8	8	16	26-36	32
16. ოსასურგუე	32	7	9	16	43-64	30
17. მირანდეზ	32	7	8	17	28-51	29
18. ვალენსია	32	7	7	18	34-64	28
19. სელტა	32	7	6	19	31-47	27
20. სარაგოსა	32	7	6	19	29-51	27

ბომბარდირები: 43 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 31 - ცრისტიანო რონალდო (რეალი); 25 - რაულმელ ფალკაო (ატლეტიკო); 18 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია აპრილის ნომერი!

ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ბარსელონა. მატჩის წინ

2013 წლის ჩემპიონების დუელი

ბარსელონას ლეო მესი უბრუნდება

დღეს, „ალიანს არენაზე" საოცარი სანახაობა გველის. ბევრის აზრით, მიმდინარე სეზონის საუკეთესო გუნდი, რომელიც რეკორდს რეკორდზე ამყარებს და საკუთარ მეცხრეულს ამარცხებს, ევროპული ფეხბურთის ბოლო წლების დომინანტს მასპინძლობს. მოხდება ძალაუფლების ხელიდან ხელში გადაცემა? ამას, ალბათ დღეს ვერ, მაგრამ პირველ მაისს კი გავიგებთ. დღეს კი პირველი სერიაა. პირველი სერია იმ ფილმის, რომელიც „ბლოკბასტერად" უნდა იქცეს. დღეს, „ბაიერნი" „ბარსელონას" უმასპინძლებს...

ბაიერნი-ბარსელონა	22:45

სავარაუდო შემადგენლობები:

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - ლამი, ვან ბიუტენი, დანტე, ალაბა - ხაი მარკნინი, შაინერ-ბოატენგი - რიბერი, მიულერი, რობერი - ჟიმენი

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, ბარტრა, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, ვილა, მესი.

არბიტრი: ვიქტორ კასი (უნგრეთი)

დისციპლინარული: მაზრუკირი - ადრიანი.

ტრანსლაცია: კროოსი - პუოლი, მასკერანო.

ურთიერთშეხვედრები:

შეხვედრა მატჩის 1/2 ფინალში

02/04/1996

ბაიერნი-ბარსელონა 2:2

გოლები: 0:1 ოსკარ გარსია (15), 1:1 ვიტორიო (52), 2:1 ბოლი (57), 2:2 პაული (77).

16/04/1996

ბარსელონა-ბაიერნი 1:2

გოლები: 0:1 ბაბასლი (39), 0:2 ვიტორიო (83), 1:2 დე ლა პენა (88).

ჩემპიონთა ლიგა
ჯგუფური ეტაპი

21/10/1998

ბაიერნი-ბარსელონა 1:0

გოლი: 1:0 ეფენბერგი (45).

04/11/1998

ბარსელონა-ბაიერნი 1:2

გოლები: 1:0 ფრიზენი (29-პენ), 1:1 ცისლერი (48), 1:2 სალიჰამიდჟიჩი (87).

ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალი

08/04/2009

ბარსელონა-ბაიერნი 4:0

გოლები: 1:0 მესი (9), 2:0 ეტოო (12), 3:0 მესი (38), 4:0 ალვესი (43).

14/04/2009

ბაიერნი-ბარსელონა 1:1

გოლები: 1:0 რიბერი (47), 1:1 ს. კეიტა (73).

სულ 6 თამაში: + 3 = 2 - 1 (8-9)

წარსული

ხოსე გვარდიოლას ყოფილი და მიმავალი კლუბები რემბინთან თასის შეხვედრამდე მოსაგებად იბრძვიან. „ბაიერნი" ზედიზედ მეორე გავიდა ნახევარფინალში, „ბარსელონა" კი ამ ეტაპზე უკვე ზედიზედ მეექვსეულ არის. ორივე გუნდს მატოქე კლუბის ქვეცნობის ნარმომადგენლებთან დადებითი ბალანსი აქვს.

„ბაიერნმა" ესპანურ გუნდებთან 43 შეხვედრა გამართა - 20 მოიგო, 12 ფრედ ითამაშა და 11 წააგო. განსაკუთრებით კარგად მოუხერხებიათ პირველებთან შინ თამაშობენ: 14 მოგება, 5 ფრე და 1 წაგება! ეს ერთადერთი მატჩი „რეკორდმასტერმა" 2002 წელს, „დეპორტივოსთან" (2:3) წააგო.

„ბარსელონას" გერმანულ კლუბებთან 51 შეხვედრა აქვს გამართული. კატალონიელებმა 29 მოიგეს, 11 ფრედ ითამაშეს და 11 წააგეს. „ბარსას" დადებითი ბალანსი აქვს გერმანიაში ჩატარებული მატჩების მხრივაც - 9 მოგება, 8 ფრე და 5 მარცხი. აქვე, აუცილებლად უნდა დავამატოთ ისიც, რომ „ბლაუვრანას" გერმანულ გუნდებთან უკვე 17 თამაშია არ წაუგია (14 მოგება და 3 ფრე). ბოლო ბუნდესლიგული ვინც კატალონიელებს მოუგო, ლევერკუზენის „ბაიერი" გახლავთ, ვინც 2001 წელს მან 2:1 იმარჯვა. „ბაიერი" იყო ბოლო გერმანული გუნდი, ვისაც „ბარსელონა" შეხედა - შარშანდელი სეზონის 1/8-ფინალში, კატალონიური გუნდმა ორი მატჩის ჯამში 10:2 მოიგო.

აი, ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში კი ძალარა უპირატესობას მოუხვნელები ფლობენ. როგორც ვასაკვირვებ არ უნდა იყოს, ეს ორი გრანდი ერთმანეთს პირველად 1996 წელს შეხედა და მაშინ, უცფას თასის 1/2 ფინალში გამარჯვებული „ბაიერი" გამოვიდა. ორი წლის შემდეგ, გერმანელებმა „ბარსას" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებში ორივე თამაში მოუგეს და მხოლოდ 2009 წელს შეძლო კატალონიურმა გრანდმა „ბაიერნის" პირველად დამარცხება, თუმცა ეს მარცხი მოუხნინები დღემდე მწარედ ახსოვთ - **სამფეხა ეტოოს** და **ტიერი ანრის** თითო გოლის და **ლეო მესის** დუბლის წყალობით, „ბარსამ" 1/4-ფინალის პირველი შეხვედრა 4:0 მოიგო.

როგორც ზედავთ, საქმაოდ საინტერესო კონტურები იკვეთება. „ბაიერნი" ისტორიულად კარგად თამაშობს ესპანელებთან, „ბარსელონა" კი ნარმატებით გამოდის გერმანელებთან, თუმცა კონკრეტულად „ბაიერნთან" უჭირს, მაგრამ ამასე დროს, ბოლოს მოუხენიერ გრანდს, ორი მატჩის ჯამში 5:1 მოუგო...

დანაკლისები

დანაკლისი, რა თქმა უნდა, ორივე გუნდს აქვს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთს ეს არ უნდა დაეტყოს, მეორეს კი პირიქით, სერიოზული პრობლემები უნდა შეექმნას.

„ბაიერნს" დის.ცვალიფიკაციის გამო **მარიო მანჯუკიჩი** ვერ დაიხმარება, თუმცა მას **მარიო გომესი** შეცვლის, ვინც შაბათს „შინოურს" ორი გოლი გაუტანა, რამდენიმე დღით ადრე კი (ცოლფსბურგთან") ჰეთთორიქი შეასრულა. სათადარიგოთა სკამზე იქნება **ლაუდიო პინასრო** - პერუელმა უკანასკნელ 5 შეხვედრაში (რომელშიც ითამაშა) 7 გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი გააკეთა. ტრავმების გამო, „ბაიერს" **ტონი კროოსი** და **პოლგარ ბადშტუბერი** ვერ დაეხმარებიან.

„ბარსელონას" პრობლემები ერთ კონკრეტულ პოზიციაზე აქვს - დაცვის ცენტრში. **კარლეს პუიოლი** და **ხავიერ მასკერანო** ტრავმირებულნი არიან, **ადრიანო** (რომელიც ამ პოზიციაზე თამაშს დაიჩვია) კი დისკვალიფიცირებული. გამოყვანმრთელებულმა **ერიკ აბიდალმა** „ლევანტესთან" საკმაოდ კარგად კი ითამაშა, მაგრამ სპეციალისტების აზრით, **ტიტო ვილანოვა** ძირითად შემადგენლობაში მის დაყენებას ვერ გაბედავს და დაცვის ცენტრში, **ხერარდ პიკეს** ახალგაზრდა **მარკ ბარტრა** შეუწყვილებენ.

აწმყო

„ბაიერნი" საოცარ ფორმაშია. „ლევერკუზენის" ყველა ტურნირზე ჩატარებული უკანასკნელი 20 მატჩიდან 19 მოიგო და მხოლოდ ერთხელ წააგო („ვერესლეთან", 0:2). გარდა ამისა, **ოუ ჰაინკესის** გუნდმა, 2013 წლის ბუნდესლიგაში 13 მატჩი გამართა და ყველაში იმარჯვა (ბუნდესლიგის რეკორდი). უკანასკნელ ორ მატჩში („ლეფსბურგთან" და „ჰანოვერთან") მოუხელებლებმა 12 გოლი გაიტანეს.

„ვოლფსბურგთან" მოგების წყალობით, „ბაიერნი" გერმანიის თასის ფინალში გავიდა და ისტორიაში პირველი პეთთორქის შანსს ინარჩუნებს, „ჰანოვერის" განადგურებით კი გუნდმა ჩემპიონატში 81 ქულა დააგროვა და დორტმუდის „ბორუსიას" მიერ შარშან დამყარებული რეკორდი გაიმეორა.

„ბარსელონამ" ბოლო ტურში „ლევანტეს" მინიმალური ანგარიშით მოუგო, თანაც გამარჯვების მომგებანი გოლი **სესკ ფაბრეგასმა** 84-ე წუთზე გაიტანა. ამ შეხვედრაში, ტიტო ვილანოვას გუნდს ბურთის ფლობის საოცარი მაჩვენებელი ჰქონდა - 80%.

„ლევანტესთან" არ უთამაშიათ **ალბას, პუსკეტსს,** პიკეს და მესის, **ჩავი, პედრო** და **ალექსის სანჩესი** კი მხოლოდ ცვლილებაზე გამოვიდნენ. შაბათს, კატალონიური გუნდი ბილბაოში, „ათლეტიკთან" თამაშობს და თუ ის მატჩი მოიგო, ხოლო „რეალმა" მადრიდული დერბი („ატლეტიკოსთან") წააგო, „ბაიერნთან" საპასუხო შეხვედრას „ბარსა" ესპანეთის ჩემპიონის რანგში შეხვდება.

დაახლოებით იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა,** ვინც თქვა, რომ „ბარსელონა" გვარდიოლას ცხოვრების ნანილია და მას არ აქვს სურვილი ჰკრა მძიმე მორალური დენლმის ნინაშე დააყენოს და რჩევები სთხოვოს.

მესი ბრუნდება

ალბათ, ამით უნდა დაგვენყო, მაგრამ ბოლოსთვის მოვიტოვეთ. „ბარსელონას" ლიონელ მესი უბრუნდება, თუმცა ძირითად შემადგენლობაში მოხედება, თუ მატჩს სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებს, ჯერ ცნობილი არ არის. „ლა პულგა" მოედანზე 10 აპრილის შემდეგ არ გასულა. შეგახსენებთ, რომ იმ დღეს „ბარსა" „ბარი სეს ფერმენთან" 0:1-ს აგებდა, როდესაც სანახევროდ გამოჯანმრთელებულმა მესიმ, რომელიც ცელილებზე გამოვიდა, „ბარსელონას" საგოლე შეტევა ნამოიწყო და საკუთარი გუნდის მომდევნო ეტაპზე გასელაზე უდიდესი წელილი შეიტანა.

„მესი ჩვენი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ეს ყველამ იცის. ძალიან ცუდი იქნება, თუ ის თამაშს ვერ შეძლებს, მაგრამ ჩვენ მნიშვნელოვანი მატჩები მის გარეშეც მოვიგეთ. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, შეძლებს თუ არა თამაშს - ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ იგრძნობს თავს მატჩისნინა ვარჯიშზე და რას გვეტყვიან ექიმები,"- განაცხადა ტიტო ვილანოვას ასისტენტმა **ჯორდი როურამ.**

მატჩის წინ არგენტინელზე აღსატვებულ ხარისხში ისაუბრა ყველამ, ვისაც არ დავხარაკ. **დანიელ ალვეშით** დაწყებული და **ფრანკ რიბერით** დამთავრებული, 25 წლის არგენტინელი ყველამ აქო და ადიდა.

მატჩზე თავისი მოსაზრება გამოთქვა **მარკ ვან ბომელმაც,** რომელსაც, მოგეხსენებათ, ორივე კლუბში აქვს ნათამაშები. ჰოლანდიელმა არგენტინელის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა და განაცხადა, რომ მან დუელში, ორი ასეთი თანაბარი გუნდის დაპირის.პირებაში, გადამწყვეტი ფაქტორი შესაძლოა მოედნის უპირატესობა იყოს და რადგან სასუხო მატჩი „ნოუ კამპზე" გაიმართება, 35 წლის ნახევარმცველის აზრით, მცირე უპირატესობა „ბარსელონას" აქვს.

ისევ სტატისტიკა

„ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის (თასის) ნახევარფინალში მეთხუთმეტედ გავიდა. ნინა 14 დუელიდან, მოუხნელებმა 9 მოიგეს, 5-ჯერ კი დამარცხდნენ.

„ბარსელონა" ამ ეტაპზე მეთოთხმეტედ არის. კატალონიელები ფინალში 6-ჯერ გავიდნენ, 7-ჯერ კი ტურნირს გამოეთიმნენ. აქვე დავამატოთ, რომ 1992 წელს (როცა „ბარსამ" თასი პირველად მოიგო) 1/2-ფინალი არ ყოფილა, რადგან ფინალში პირდაპირ ჯგუფების გამარჯვებულები გავიდნენ.

ტატო ბაციკაძე

N1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

ინტერვიუ. ფრანკ რიბერი

ჩვენ და ბარსა ერთ დონეზე ვართ!

ბაიერნს ნამდვილად შეუძლია „ბარსას" დამარცხება და კატალონიელებმაც იციან, რომ ჩვენთან წარმატების მილწევა გაუჭირდებათ!

„ბაიერნი" გასაოცარ სეზონს რომ ატარებს, ეს პირველ რიგში ფრანკ რიბერის დამსახურებაა. მოუხნენირი გრანდის 30 წლის ფრანგი დრიბლიორი შესანიშნავ ფორმაშია, რაც ბუნდესლიგაშიც არაერთხელ დაამტკიცა და ჩემპიონთა ლიგაშიც. „ბარსასთან" უმნიშვნელოვანესი დუელის წინ რიბერის გაზეთ „მიუხნენირ თავგასაკოთნების" ჟურნალისტი გაესაუბრა.

- ჯერ რიბერი, „ბაიერნისა" და „ბარსელონას" დუელები უალრესად სანტერესო იქნება. „ბარსასთან" მატჩებისგან პირადად თქვენ რას ელით?

- ეს ორი უდიდესი გუნდის ორი შესანიშნავი მატჩი იქნება. „ბარსელონას" დღესდღეობით საუკეთესოა, მაგრამ „ბაიერნიც" ისტორიულად იდეალურ ფორმაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან მაგარი თამაშები გველის. ოფხაჟადაც არ მიყვარს, რომ ეუროპის ჩვენი და „ბარსას" მატჩები უფრო ანტაგონისტებს, ვიდრე მეგობრულ ხახეპირნელი, სადაც ერთმანეთის ჩვენი კონკურენტები - დორტმუნდის „ბორუსია" და „რეალი" ხვდებიან. ორივე მატჩი უმალლეს დონეზე უნდა ჩავატარო - „ბარსას" დამარცხების შანსი მხოლოდ ამ შემთხვევაში გველნება.

- „ბარსელონა" ევროპაში უძლეველს ნარმადგენს მიგაჩნიათ?

- „ბარსას" ყველა იცნობს. სამი-ოთხი წელია, ყველაზე მაგრები არიან, მაგრამ ჩვენც უდიდესი პროგრესი განვიცადეთ. „ბაიერნი" განსაკუთრებით ამ სეზონში განვითარდა. ვფიქრობ, ეს იმის დამსახურებაცაა, რომ ახლა სათადარიგოთა სკამზეც შესანიშნავი ფეხბურთელები გვყავს და როტაციას წარმატებით ვახერხებთ. თამამად ვიტყვი, რომ დღესდღეობით „ბაიერნი" „ბარსელონას" არაფრით ჩამოუვარდება - ჩვენ ერთ დონეზე ვართ!

- 2009 წელს „ბაიერნი" „ნოუ კამპზე" 0:4 განადგურდა და თქვენ იმ შეხვედრაშიც თამაშობდით. რევანშზე ფიქრობთ?

- არა, რევანში რა პუაშია? 2009-ში რაც იყო, იყო და თანაც მაშინ „ბარსა" ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო. ახლა კი „ბაიერნი" სულ სხვა, გაცილებით

უკეთესი გუნდია. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია „ბარსას" დამარცხება და კატალონიელებსაც იციან, რომ ჩვენთან წარმატების მილევა გაუჭირდებათ!

- კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებთ და როგორ ფიქრობთ, არ მოვიდა იმის დრო, რომ სეზონი დიდი ევროპული ტიტულით დაავგვირგვინოთ?

- თითქმის ექვსი წელია, რაც „ბაიერში" ვთამაშობ. მოგიდე გერმანიის ჩემპიონატიც და გერმანიის თასიც. ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი ორჯერ გავედით და ორივე ეგე წაგებული. მაგრამ ფრანკ ეგალიტარულია რომ არ ვფიქრობ, მოგების გაცილებით მეტი შანსი გვექნება. ამაზე ვფიქრობ ხოლმე, რომ ბედნიერი ვიყავი, მოგების გაცილებით მეტი შანსი გვექნებოდა. ამაზე, რა თქმა უნდა, ვკიდებ ბედს და ძალიან მინდა, რომ ჩემპიონთა თასი მოვიგო. 30 წლის ვარ, კარიერის დასრულებას ჯერ ნამდვილად არ ვაპირებ და ვფიქრობ, ჩემპიონთა თასსაც მოვიგებ.

- ამ სეზონში?

- არ მინდა, რომ დავისტრესო. მშვიდად ყოფნა და ლაღად თამაში ჯობია. ფაქტია, რომ ძალიან კარგი შანსი გვაქვს.

- რამდენად ხშირად იყავით „ბარსელონაში" ან „რეალში" გადასვლასთან ახლოს?

- ორი-სამი წლის წინ „ბარსელონასაც" ვუნდოდი, „რეალსაც" და კიდევ რამდენიმე კლუბს, მაგრამ მოუხნენში ყოველთვის მეგნიერი ვიყავი და ნასვლაზე არ მიფიქრია.

- „ნიურნბერგთან" კაპიტანი იყავით...

- დიდი მადლობა ოუ ჰაინკესს ასეთი ნდობისთვისაც. ასეთი რამ თავდაჯერებისთვისაც ძალიან კარგია. თუმცა ფილიპ ლამს და ბასტიან შვაინშტაიგერს უდიდეს პატივს ვცემ - ნამდვილი კაპიტნები სწორედ ისინი არიან.

- დანტე და ვან ბუიტენი ან ბოატენგი ლეონელ მესის წინააღმდეგ - როგორ ფიქრობთ, მათ ძალიან გაუჭირდებათ არგენტინელის შეჩერება?

- გასსაკუთრებით ვან ბუიტენს შეიძლება გაუჭირდეს, რადგან ძალიან მაღალი და შესაბამისად მოუხერხელია, მაგრამ, სამაგიეროდ მას სხვა პლუსები აქვს, მისი კი ზონურად უნდა დავკეტოთ.

გოტფრიდ ლენცი

სანდალი

სუარესი იკბინება და ბოდიშს იხდის

ურუგვაელისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის

„ლივერპულის" ურუგვაელ თავდამსხმელს, 26 წლის **ლუის სუარესს** კიდევ ერთი დისკვალიფიკაცია ელის. „ჩელსისთან" შეხვედრის 74-ე წუთზე მან მატჩტოს მცველ **ბრანისლავ ივანოვიჩს**. ხელზე უკბინა. ლუისის მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ ურუგვაელისთვის ეს კბენის პირველი შემთხვევა არ არის. 2010 წელს „აიაქსი"-ეინდჰოვენთან" შეხვედრაში **ოტმან ბაკალის** წინააღმდეგ ჩადენილი ანალოგიური საქციელისთვის მოლანდის ფეხბურთის ფედერაციისგან მან 7-თვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო (მოგვიანებით მას სანქცია ორი მატჩით შეუმსუბუქეს). იმის მიუხედავად, რომ დღევანდელ ინციდენტს და თავდასხმებს მოქმედების შეფასების მხრივ განსხვავებული მოქმედება შეფასების მხრივ განსხვავებული მოქმედება შეფასების მხრივ განსხვავებული მოქმედება

ძიუდო

დურმიშხან ბერუაშვილის ტრაღიციული მემორიალი

ცნობილი გორელი ფალავანის დურმიშხან ბერუაშვილის მემორიალური ტურნირი ძიუდოში, გორში 80-იანი წლებიდან იმართება. ამჯერად გურამ მაჭარაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში მასპინძლებთან ერთად სააპარეზეთდ შეიკრიბნენ ქარელის, კასპის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის, მარტყოფის, მარნეულის, ყვარელის, სამტრედიის და თბილისის ძიუდოს ოთხი კლუბის („ოლიმპია", „აკადემია", „ჯორჯი", „შევარდენი") 1997 - 1999 წლებში დაბადებული სპორტსმენები. შეჯიბრებაში ჩაერთნენ გორში შეკრებაზე მყოფი ბაქო ძიუდოს ორი კლუბის წარმომადგენლებიც - სულ 200-მდე მონაწილე გავიდა ტატამზე. ბუნებრივია, ასეთ ტურნირს არც მაყურებელი დააკლებდა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა საუკეთესო ილეთიც გამოარჩიეს და მის შემსრულებელს 60 კგ-ში გამარჯვებულ **ლუკა მაისურაძეს** სპეციალური პრიზიც გადასცეს. ოთხივე კლუბის მედლების ჯამური რაოდენობით თბილისელებმა იმარჯვეს. მედალებით მცირერიცხოვანი გუნდით და კარგი მედეგით ქარელის გუნდი გამოირჩა. 81 კგ-ის ფინალში საუკეთესოს ვინაობა სწორედ ამ რაიონიდან ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობის გამარჯვებულების **დათო იმერლიშვილისა** (81) და ახლა წონაშეცვლილ **ნიკა სიდამონიძის** (75) შეხვედრაში გამოავლინდა. თანაგუნდელებს იმერლიშვილმა აჯობა.

შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ გორის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა და სპორტული ცენტრი. მთავარი მსაჯი - ეროვნული კატეგორიის არბიტრი **არსენ აზალაძე.**

გოგა ქვეხიშვილი

ქარაფშტეგი

46 კგ. 1. ვასილ ქერდოყიშვილი, 2. ზურა ხახნიაშვილი (ორივე - გორი), 3. ლუკა გამრეკელაშვილი (ქარელი) და გიგა თეთრაშვილი (თბილისი).

50 კგ. 1. გიორგი გივიაშვილი (თბილისი), 2. თემურ ნოზაძე, 3. ალეკო მამიაშვილი და ალეკო კოდღორაშვილი (სამივე - გორი).

55 კგ. 1. მოთა ბესიაშვილი (თბილისი), 2. ქნარა ზაბმუელი (ბაქო), 3. თორნიკე არჩვაძე (ვორი) და გიორგი ჭოხონელიძე (თბილისი).

60 კგ. 1. ლუკა მაისურაძე (ხაშური), 2. დიმიტრი ცაბაძე (თბილისი), 3. ვანო მახათაძე და ირაკლი გოგატიშვილი (ორივე - გორი).

66 კგ. 1. ზვიკა უფლისაშვილი, 2. ლაშა დუდუაშვილი, 3. გიორგი დოდუაშვილი (სამივე - თბილისი) და დათო ლომაძე (გორი).

73 კგ. 1. გოგა ქვეხიშვილი (თბილისი), 2. გიორგი მუსაძე (ქარელი), 3. ვასილ ბალაბანაშვილი და გიორგი ხაჩიძე (ორივე - თბილისი).

81 კგ. 1. დათო იმერლიშვილი, 2. ნიკა სიდამონიძე (ორივე - ქარელი), 3. რობინზონ სუხიშვილი და ოთარ გურგენიძე (ორივე - თბილისი).

+81 კგ. 1. თეიმურ წონინაშვილი (თბილისი), 2. გიორგი სამხარაძე (მარნეული), 3. გიორგი ხოთარიშვილი (გორი) და გენადი ლომსაძე (თბილისი).

ვასილ ბალაბაძე

ქართული ჭიდაობა

ქვეყო ქართლელებმა გაილაღეს...

1998-1999 წლებში დაბადებულ მოზარდთა ზონალური პირადი პირველობა ქარელში ჭიდაობაში ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, თელავის, თეთრწყაროს, მარნეულის, რუსთავის, სიღნაღის და წალკის რაიონების გუნდების მონაწილეობით ბოლნისში გაიმართა.

ქვემო ქართლელთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ უკლებლივ შეიდივე რაიონმა მოაგროვა მონაწილეები, რასაც ვერ ვიტყვით კახეთის რეგიონზე, სადაცაც სარბიელზე მხოლოდ თელავისა და სიღნაღის წარმომადგენლები ვიხილეთ. არადა მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა ორთაბრძოლების მდიდარი ტრადიციების რაიონების ახმეტის, დედოფლისწყაროს, ყვარლის და საგარეჯოელი სპორტსმენების მონაწილეობით. ქარელი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გელა ბერუაშვილმა**, რომელიც შეჯიბრებას ესწრებოდა, ამ ფაქტთან დაკავშირებით თქვა: „ასეთი შეჯიბრებები ნათლად ნარმოაჩენს რეგიონში ქალაქსა თუ რაიონში ქართული ჭიდაობის განვითარებასა და განეული მუშაობის დონეს. პრეზიდენტად ჩემი არჩევიდან მოკლე პერიოდში უკვე გარკვეული წარმოდგენა შემიქმნა ვინ როგორ საქმიანობას ეწევა პერიფერიებში. სწორედ ამის გათვალისწინებით დავსახავთ ღონისძიებებს ადგილებზე მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. თუ რატომ ვერ ვიხილეთ პირველობაზე კახეთის რაიონების უმეტესობა, მიზეზს აუცილებლად დავადგენთ".

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ელგუჯა ბარბაქაძე (**46 კგ**, რუსთავი); მიხეილ ბახტახიშვილი (**50**, თელავი); გიორგი ბეროძიშვილი (**55**, გარდაბანი); ახმეთელი გარდოფხაძე (**60**, თეთრი წყარო); გოგა ლილუაი (**66**, რუსთავი); გიორგი სალიხოვიშვილი (**73**, გარდაბანი); ლილუ დევდარიანი (**81**, დმანისი); მაჭუა გიგანი (**+81**, მარნეული).

ორი იმერლიშვილი

ბიატლი

ხუთჭიდიდან ბიაბლზე და პირიქით...

საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ტრადიციები, შეიძლება ითქვას, მოგონებად იქცა. თუმცა, ვეტერანი სპორტსმენები და სპეციალისტები ცდილობენ კვლავ დაიბრუნონ სპორტის ეს რანდული სახეობა. როგორც ცნობილია, თანამედროვე ხუთჭიდის პროგრამა მოიცავს მძლეოსნობას, ცურვას, ცხენოსნობას, ტყვიით სროლას და ფარიკაობას. თბილისის ფედერაციამ გასულ კვირას 1996-1997 წლებში დაბადებულთათვის დედაქალაქის ღია ჩემპიონატი ჩაატარა ბიატლში (ცურვა და მძლეოსნობა), რომელიც იმავე პროგრამაში 2013-2014 წლების საერთაშორისო შეჯიბრების პირველი შესარჩევი ეტაპი იყო. თბილისელთა გარდა ასპარეზობაში რუსთავის, ჭიათურისა და საჩხერის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ადგილები ასე გადანაწილდა: 1. **ნიკა ყუღაშვილი** (რუსთავი) - 2072 ქულა; 2. **დიტო გაირგაძე** („ოლიმპიკი", თბ) - 2036, 3. **ვასილ ხიზანაშვილი** („ტორნუსი")-2027.

შეჯიბრებაზე გათამაშდა თანამედროვე ხუთჭიდიდან საქართველოს დამსაბურებული მწვრთნელის თენგიზ ახალშენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასი.

„ლელო" კორ.

სპორტული მედიცინა

როცა მთა არ მიდის მუჰამედთან

20 აპრილს ქუთაისში, სასტუმრო „ბაგრატში" იმერეთის რეგიონისთვის კონფერენცია გამართა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციამ.

შეიძლება ითქვას, ეს ახალი სიტყვა ორგანიზაციათა მრავალწლიან მუშაობაში. რაკი რეგიონებში დასაქმებული ამ სფეროს ექიმები თბილისში სემინარ-შეხვედრებზე ჩამოსვლას ვერ ახერხებენ, ამიტომ გადაწყვიტეს, თავად ჩავიდნენ ადგილებზე და იქაურობს გააცნონ სიახლეები. ამ კონფერენციას რეგიონის თითქმის ყველა რაიონის ნარმომადგენელი ესწრებოდა, სპორტის იმ სახეობიდან, რაც განეიორებულია იმერეთში. ცხადია, ჭარბობდნენ საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლები, თუმცა იყვნენ არა მხოლოდ ექიმები, არამედ ამ დარგის სხვა სპეციალისტებიც - სულ 35 მონაწილე. ასოციაციის ხელმძღვანელობამ მათ გააცნო სიახლეები და ისაუბრეს სამომავლო გეგმებზეც. სამომავლო თანამშრომლობაზეც რამდენიმე პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს. მაგალითად, როგორ უნდა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია, რათა რეგიონებს დროულად მიეწოდოთ ყველა სიახლე; საყურადღებოა თავად კლუბებში მომუშავე დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაცია, სტატუსი... ბევრი სასიკეთო იერიდიულ კონტექსტშია გადასაწყვეტი. ასოციაციამ კონფერენციის მონაწილეებს თავისი ოფიციალური წარმომადგენელიც წარუდგინა - ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს" ექიმი **ზურაბ ხარხელაური**. ადგილზე წარმომადგენლის, მოკავშირის ყოფნა გაზრდის რეგიონში ინფორმაციას თავად სპორტული მედიცინის ასოციაციის შესახებაც, თორემ ზოგმა თურმე მისი არსებობაც არ იცოდა.

ერთი სიტყვით, სპორტული მედიცინის ასოციაციამ არჩია, იმ აღმოსავლურ სიბრძნეს გაჰყოლოდა, რომლის მიხედვითაც, როცა მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ თავად მუჰამედი მიდის მასთან... ქუთაისშივე დაიგეგმა, სამომავლოდ ჩამოყალიბდეს იმერეთის სპორტული მედიცინის ასოციაცია, თუმცა ეს მხოლოდ ამ რეგიონს არ ეხება. დაგეგმილია, ანალოგიური კონფერენცია ბათუმში გაიმართოს აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონისთვის. იმერეთის შემდეგ რეგიონული ფედერაციის ჩამოყალიბება ამ ტრიუმვირატისთვისაც იგეგმება.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი ჭიდაობა

გერმანიაში გაირკვევა

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ვერცხლ-ბრინჯაოს მედალოსანი **დავით ხუციშვილი** გერმანიაშია, ქალაქ მაინცში, სადაც სპორტული მედიცინის კლინიკაში ტრავმირებულ მხარზე გაძოკლევებს ჩაიბარებს. შეგახსენებთ, რომ მან ხელი მარტში თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იტკინა, რის გამოც შეჯიბრების გაგრძელება ვეღარ შეძლო. თბილისშივე პირველად გამოკვლევებით სამში არაფერი აღმოჩნდა, თუმცა თავის დასაზღვევად გერმანიაში მაინც გაააზღვინეს. ამაში ჩვენებს დიდი დახმარება გაუწია გერმანიის ნაკრების წევრმა **დავით ბიჩინაშვილმა** თუმცა იქაურებს ისედაც იცნობდნენ. საბოლოოდ ამ ხაენობაბა-მეგობრობის დამსაბურებით, ჩვენებმა გვარიანი ფინანსური შეღავათი მიიღეს.

გამოიკვლევის შემდეგ გადაწყდება სპორტსმენს ოპერაცია დასჭირდება თუ ისე უმკურნალებენ.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი



რეიტინგი და ჩვენები

ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის (**WTA**) განახლებული რეიტინგით **ანა ტატიშვილს** 907 ქულით 68-ე (68) ადგილი უკავია. დანარჩენ ჩვენებ-ბურთა მაჩვენებლები ასეთია: 255 (255) **სოფიო შაფათავა** (190), 377 (375). **ოქსანა კალაშნიკოვა** (99), 407 (406). **მაკა ჩახნაშვილი** (87), 482 (480). **სოფიო ქვაცაბაია** (66), 518 (516). **ეკატერინე გორგოძე** (56), 815 (815). **ნათია გეგია** (18). ჩვენებურთიგან მომავალი კვირისთვის საგრძნობი დანინაურება ელის ოქსანა კალაშნიკოვას, რომელმაც უზბეკური ნამანგანის 25.000-იან ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა და 34 ქულა დაიმსახურა. ოქსანა ამჟამადაც უზბეკეთშია, კერძოდ, ანდოჟანში და 10.000-იან ტურნირში იბრძოლებს მთავარი პრიზისთვის.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლის ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) ძირითად ბადეში ითამაშებს სოფიო შაფათავა. მეციცარიელე კიაროს 25.000-იანი ქალთა ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ცდილ ძალებს მაკა ჩახნაშვილი, რომელიც მე-2 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში იგი თავისუფალი იყო, მეორეში იტალიელ გიადა კლერიჩის დაუპირისპირდება.

ამერიკაში საცანაო წელენჯურის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) კვალიფიკაციაში ცდილ ძალებს **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. პირველ წრეში მან სლოვენიელ ლუკა გრეგორჩს 6:4, 7:6 მოუგო. ძირითად ბადეში გასაღწევად ვენესუელელ რიკარდო რედრიგესთან გაარკვევს ურთიერთობას. პროფესიონალთა ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში ბასილაშვილი სპორტსმენს 184 ქულით 252-ე ადგილი უკავია.

ვაჟა დანელია

ილუსტრაცია

ზურაბ მაჩხანელი 90 წლისაა

ღვაწლმოსილ ადამიანთა შორის, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართული სპორტის სამსახურში გაატარეს, განსაკუთრებულია ზურაბ მაჩხანელის დამსახურება, რომელსაც დღეს დაბადების 90 წელი უსრულდება.

ნადირობის მოყვარულმა, მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ, გატაცება სპორტს დაუკავშირა და წარმატებითაც. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, მთელი მეოთხედი საუკუნე საბჭოთა კავშირში მისი სახელი ჟუხდა სასტენდო სრულიად. 1954 და 1956 წლებში ქვეყნის ჩემპიონი გახდა. საკავშირო რეკორდს რვაჯერ მოუნაცვლა თავისი გვარით ადგილი, ზუსტად 50 წლისამ სსრ კავშირის თასიც მოიგო. ქვეყნის პირველი ჩემპიონობა იმდენად რეზონანსული იყო, მარაელელურად საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს და ისიც უმურეულად უზიარებდა ახალგაზრდებს თავის მდიდარ გამოცდილებას. არც ერთ ქართველ მწვრთნელს, სპორტის არც ერთ სახეობაში არ რგებია ისეთი პატივი, როგორც უს ზ. მაჩხანელს ხვდა წილად - თითქმის მთელი სამი ათეული წელინადი იყო საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 12 წლის განმავლობაში კი სათავეში ედგა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. გახდა საქართველოს და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, დაჯილდოდა „ღირსების ორდენით".

ზ. მაჩხანელმა ქართველ მესტაფეტრთა არაერთ თაობას გაუკაფა გზა დიდ სპორტში, მისმა შეგირდებმა სახელი გაითქვეს ევროპის, მსოფლიოს თუ ოლიმპიური თამაშების სარბიელზე.

ამ ღირსეული პიროვნებისადმი საერთო სიყვარული და პატივისცემა შესანიშნავად გამოხატა ფესტივალზე ერთმა მისმა მეგვარემ შემდეგი სიტყვებით: „შენ გენაცვალე ზურა პაპა, შენ ხარ რვაში ეტალონი. გენაცვალე ქართველობაში და ვაყაცობაში". ჩვენი სათქმელიც ეს არის - დიდი მადლობა ბატონო ზურაბ ამაგისთვის, თაობები ღირსეულად დაიფასებენ თქვენს ფუძემდებლურ და განმტკიცებულ ტრადიციებს. ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებთ, ჩვენო სიამაყევ!

საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია

PLAYOFFS
ბასკეთბოლი
23 აპრილი. პარენა
ოლიმპი თსუ 14:00
შსს სოსუმი 18:00
არმია დინამო 20:00
24 აპრილი. რუსთავი
რუსთავი ჟუთაისი 18:00
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია GBF

ილუსტრაცია

ახალქალაქის ახალი რინგიდან ბაქო და ევროპა გამოჩნდა

წლეულს ივნისში რუსული კემეროვო 1997-1998 წლებში დაბადებულ მოკრივეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მზადებას და ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევას მიეძღვნა საქართველოს პირველობა, რომელიც ახალქალაქში გაიმართა.

შეჯიბრებას კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **დავით ვაჭაძესთან** ერთად სპორტის, რენინტეგრაციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრები - **ლევან ყიფიანი, პაატა ზაქარეიშვილი** და **სოზარ სუბარი** დაესწრნენ.

16 ქალაქისა და რაიონის 139 წარმომადგენელი 13 წონით კატეგორიაში ცდილებოდა ერთმანეთს პირველობას. გუღუშმატკიერმმა დაძაბული და სანტერესო ორნაბრძოლები იხილეს. უბრუველესად, 66 კილოში ქუთაისელი **გიორგი ხარაბაძის** პაექრობები უნდა გამოყოთ. რაინისპირელმა სპორტსმენმა ოთხივე ორკაბრძოლა უნაკლოდ ჩაატარა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ფინალური შეხვედრა აღმოჩნდა - მოსწავლეებში ევროპის მარშანელი ბრინჯაოს პრიზიორი **გორა სეროპიანი** პირველსავე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხა და ევარცხლების უმაღლეს საფეხურზე ავიდა. სპეციალისტებმა, ასევე, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თანატოლებში საქართველოს მარშანდელმა ჩემპიონმა **რატი ტლაშაძემ**, სახელოვანი ქართველი მოკრივის - **გიორგი კანდელაკის** ვაჟმა **თარაშ კანდელაკმა**, მოსნავლეთა 2012 წლის ევროპის ბრინჯაოს მედალოსანმა **გიორგი მანჯავიძემ**.

სამი წლის წინათ მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა ესკირხან მადიევმა და მისმა მშობლებმა, რომლებიც ჩეჩნეთიდან გადმოვიდნენ თბილისში საცხოვრებლად. ტურნირზე საუკეთესო ტექნიკური მოკრივის პრიზი რომ ყოფილიყო დაწესებული, უპირველესი კანდიდატი, ალბათ, მადიევი იქნებოდა.

ახალქალაქში გამართული პირველობის შედეგებით ჯაკომპლექტდება ქვეყნის 15-16-წლიანთა ნაკრები, რომელიც 10-14 მაისს ბაქოს საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

ჯვარცხლებში

46 კგ. 1. გიორგი ჩარგაზია (ფოთი), 2. ვაჟა წიქარიშვილი (თელავი), 3. გურამ ცხადაძე (ქუთაისი), ნოდარ დარაბაძე (ჭიათურა).

48 კგ. 1. გიორგი მანჯავიძე (ფოთი), 2. ხაჩატურ ჩნავიანი (ახალქალაქი), 3. ონისე სოსელია (ქუთაისი), მლეჭი მელტონიანი (ახალქალაქი).

50 კგ. 1. მიხეილ გაბისაშვილი (გორი), 2. დავით ჯეირანაშვილი (თელავი), 3. თორნიკე არმოლაშვილი (ერედვი), გაგიკ პოზოიანი (ახალქალაქი).

52 კგ. 1. ვალერი ბოტკოველი (ჭიათურა), 2. უჩა მისხორაძე (რუსთავი), 3. ბექა ლაზარაშვილი (გორი), გიორგი მარქარიანი (ბათუმი).

54 კგ. 1. ჯოტო თაგოშელი (ერედვი), 2. ნიკა ხოშტარია (ფოთი), 3. ილია ქავჭავია (თბილისი), ხაჩიკ ჩნავიანი (ახალქალაქი).

57 კგ. 1. ესკირხან მადიევი (თბილისი), 2. გოჩა გურული (ქუთაისი), 3. აკაკი კაკრიაშვილი (გარდაბანი), სოსო მღებრიშვილი (საგარეჯო).

60 კგ. 1 თარაშ კანდელაკი, 2. გიორგი დოლაშელი (ორივე - გორი), 3. თორნიკე ჯუღაშვილი (ქუთაისი), ბოდო რაზმაძე (თბილისი).

63 კგ. 1. სტეფანე მხითარიანი (თბილისი), 2. ერეკლე აბაშიძელი (ქარელი), 3. ქიზგარ შუშტაკაშვილი (რუსთავი), ჯუმბერ გულორდავა (თბილისი).

66 კგ. 1. გიორგი ხარაბაძე (ქუთაისი), 2. ფორა სეროპიანი (მარნეული), 3. რატი ფარქოსაძე (საჩხერე), ნოდარ ბუღლიე (თელავი).

70 კგ. 1. ბექა ვახანია, 2. ილია პირველი (ორივე - თბილისი), 3. ლაშა კობულაშვილი (გორი), ლადო კვანტარი (მესტია).

75 კგ. 1. რატი ტლაშაძე (გორი), 2. სამეულ ხაჩატურიანი (ახალქალაქი), 3. ირაკლი მაჭარაშვილი (საჩხერე).

80 კგ. 1. იაგო გელენიძე (თბილისი), 2. ნიკოლოზ ბეგაძე (წრუხეთი), 3. ბექა ალუაშელი (გორი), გიორგი ხაჩიე (ბათუმი).

+80 კგ. 1. გიორგი ზურაბიანი (გარდაბანი), 2. გიორგი ვეკნიანი (მესტია), 3. ვაჟა ხელაია (ფოთი), არჩილ ბეგიაშვილი (გურჯაანი).

ლევან ყიფიანი: - ჭაბუკ მოკრივეთა საქართველოს პირველობის ჩატარებამ ახალქალაქში, რომელიც სპორტული თვალსაზრისით კარგა ხანს მიეწერებული იყო, აქაურობა გამოაცოცხლა. სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდებმა ერთმანეთი გაიცნეს, ტურნირის მსვლელობისას დამეგობრებაც მოასწრეს. რაც მთავარია, რინგზე ბევრი ნიჭიერი, იმედისმომცემი მოკრივე ვიხილეთ. ეს კი ქართული სპორტის მომავალია. ერევნიდან სომხეთის ჭაბუკთა ნაკრებიც გვეწვია, რომელიც ჩვენებთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

ნაირ ნრიციანი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი: - საქართველოს სპორტსა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ახალქალაქში პირველი სტუმრობისას ახალ რინგს დაგვპირდა. ერიკი ჩვენთან სპორტის პრიორიტეტული სახეობაა, მაგრამ მწირი ინვენტარით მოზარდების სათანადოდ მომზადებას ვერ ვახერხებდით. და აი, ბატონმა ლევანმა პირობა შეასრულა და ჩვენც საქართველოს პირველობას ეუმასპინძლეთ. დარწმუნებული ვარ, რომ სპორტის სამინისტროსთან ერთად ახალქალაქში უფრო მნიშვნელოვანი შეკეთებრებების ჩატარებას შეეძლებთ.

ვაჟა დანელია

განცხადება

ვითვალისწინებთ რა, რაგბის დინამოურად მზარდ პოპულარობას საქართველოში და საერთოდ, მთელ მსოფლიოში, „ლელოს" რედაქციამ გადაწყვიტა რაგბისადმი მკითხველთა ფართო ნრისა და რაგბის გუღუშმატკიერების ინტერესების უფრო სრულყოფილად დასაკმაყოფილებლად სათანამშრომლოდ მოიწვიოს ერთი ან ორი ჟურნალისტი, რომლებსაც აქვთ რაგბიზე წერის გამოცდილება.

მსურველებმა მოგვკითხეთ რედაქციაში: იოსებიძის 49, ან დარეკეთ „ლელოს" ბოლო გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებულ ტელეფონების ნომრებზე.

„ლელოს" რედაქცია

ილუსტრაცია

მკითხველებს, სპორტსმენებს, სპორტის სპეციალისტებს, სპორტულ ფედერაციებს, ორგანიზაციებს!

„ლელომ" ახლახან თავისი მე-14000 ნომრის გამოცემა იზეიმა.

გაისად ჩვენს გაზეთს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდება. მკითხველსა თუ ჭეკეების სპორტულ სამყაროსთან ურთიერთობის გაფართოება და გამოცემის შინაარსობრივი ხარისხის გაუმჯობესება იყო და კვლავ რჩება რედაქციის საქმიანობის ამოსავალ წერტილად.

დღეიდან ახალი რუბრიკით: **„ჩვენ, ყველა ერთად, ლელოელები ვართ"**, სისტემატურად გამოქვეყნდება პუბლიკაციები სარედაქციო ფოსტიდან, საორიენტაციოდ კი ქვემოთ გთავაზობთ საკითხებს, რომლებზეც სასურველია, ყურადღება გაამახვილოთ.

მაშ ასე:

- მოგვწერეთ სპორტის თემაზე ნებისმიერი უნარის მასალა;

- გახსოვდეთ! ის, რაც თქვენ მოგაწონათ უმნიშვნელოდ, შეიძლება ჩვენთვის, მით უფრო - ქართული სპორტის ისტორიისთვის აღმოჩნდეს საშური;

- „ლელოს" ფურცლებზე ვისთან შეხვედრა გსურთ?

- სამი შეკითხვა, რომელსაც საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონებს დაუსვამდით;

- რა ახალ რუბრიკებს ისურვებდით „ლელოში"?

- „ლელოს" დაარსებიდან 80 წელი უსრულდება. მოგონებები, რომლებიც ჩვენ გაზეთთან გაგაკვშირებთ;

- თქვენთვის საინტერესო რა თემებზე ისურვებდით უფლელაციებს „ლელოში"?

- ნარმატებების გარდა, რას მოითხოვს ქომაგი სპორტმსნისგან თუ, საერთოდ, სპორტისგან?

- მე რომ „ლელოს" ჟურნალისტი ვიყო... რას იზამდით?

- რა არ მოგწონთ „ლელოში" და რატომ?

- ჭორია თუ მართალია? რა გმენიათ და რაში გსურთ გარკვევა?

- გინდათ „ლელოში" მუშაობა? გზა ხსნილია, მაგრამ, რა პროექტს შემოგვთავაზებდით?

რედაქციასთან საურთიერთობოდ გამოიყენეთ „ლელოს" მე-16 გვერდზე საინფორმაციო ბლოკში მოცემული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალება.

შეკითხვა

შეკითხვა: მე და ჩემი სამეგობრო ცნობილი ფეხბურთელის ფიგუს ფანები ვიყავით. გვიანტერესებს, ახლა რას საქმიანობს, ვიცით, რომ თამაშს თავი დაანება ამ ოთხი წლის წინათ.

ზურაბ კოლუა
სანაკი

პასუხი: პორტუგალიელ ნახევარმცველ **ლუიშ ფიგუს** კარიერის განმავლობაში „სპორტინგში", „ბარსელონაში", „რეალში" და „ინტერში" უთამაშია. მან პროფესიულ კარიერაში 704 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 127 გოლი გაიტანა. 2009 წლის მაისში გაიცილეს ფეხბურთიდან. ახლა ის მილანის „ინტერის" ერთ-ერთი მაღალჩინოსანია.

ლუიშ ფიგუ უკვე მოდელ **ჟელენ სვენდინზეა** დაქორწინებული. მათ ჰყავთ სამი ქალიშვილი: **დანიელა, მარტინა** და **სტელა**. ოჯახი ახლა მეოთხე შვილს ელოდება.

სხვათა შორის, ფიგუ ცნობილი ფილატელისტია და 2002 წელს ფილატელისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ ის საპეციალური პრიზით დააჯილდოვა, ხოლო მონაკოს ფოსტამ ამ მოვლენის სპეციალური მარკა უძღვნა.

ლუიშ ფიგუ, **ზინედინ ზიდანთან** და სხვა ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად 9 ივნისს „სანტიაგო ბერნაბეუზე" საქველმოქმედო მატჩში მიიღებს მონაწილეობას, „რეალისა" და ტურნის „ლეგენტურის" ვეტერანებს შორის.

ფიგუ პოლიკლობაცაა: შესანიშნავად ფლობს პორტუგალიურ, ესპანურ, იტალიურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

ქადრაკი

კონიაში იყოჩალეს

თურქულ კონიაში დამთავრდა რუმის ბავშვთა მესამე სპორტული თამაშები, რომლის პროგრამაშიც მოჭადრაკეთა პაექრობებიც შედიოდა. მასპინძლებთან ერთად ხუთი ქვეყნის ნაკრები ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. საქართველოს წარმომადგენლებმა (დელეგაციის ხელმძღვანელები - **ალეკო არსენიძე** და **გოგი ხომერიკი**) დაამარცხეს აზერბაიჯანელები (4:0), თურქები (4:0), ირანელები (3,5:0,5), კონიელები (4:0) და მხოლოდ ერთი მატჩი დათმეს რუსნიელებთან (1:3). ჩვენებურებმა ხუთ შეხვედრაში რვა გუნდური ქულა (საერთო მონაგარი - 16,5) მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულებს ქულით ჩამორჩნენ და მეორე ადგილზე გავიდნენ რუსნიელები (კონკატელებმა ბოლო ტურში აზერბაიჯანელებთან ნაადეს 1:3 და პირველი ადგილიც დაკარგეს). მომდევნო ადგილებზე არიან: ირანი-6, აზერბაიჯანი-6, თურქეთი-3, კონია-0 ქულა. ცალკეულ ქარნეული მოჭადრაკეთა მონაგარი ეი ასეთია: **გიორგი სიბაშვილი** - 4,5 (რეიტინგი 20 პუნქტით გაიმედიდრა), **ნიკა ღვამიჩარა** - 4 (+12), ნოე თუთიხანი - 4,5 (+13), ნინო **ხომერიკი** - 3,5 (+8).

ვაჟა დანელია

წყალბურთი

ექვსეულმა მედლებისთვის ბრძოლა დაიწყო

სანკტ-პეტერბურგში „ოლიმპიური" გაიმართა 2000 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობის მორიგი ტურის მატჩები. მეჯიბრებაში თავიდან 9 გუნდი ჩაება, წინასწარი შეხვედრების შემდეგ შეირჩა ის ექვსეული, რომელიც მე-2 ეტაპზე მედლებისთვის იბრძვის. წრიული სისტემით გამართული ხუთი ტური შემდეგ ოთხი საუკეთესო ნახევარფინალში გავა.

უკვე გაიმართა მეორე ეტაპის ორი ტურის ორთაბრძოლები. გაუწყვეთ მათს შედეგებს.

I ტური. „ლეგამუსი-1" - „თბილისი" 7:6, „ლეგამუსი-2" - „რუსთავი" 17:3, „ბათუმი" - „იევრია" 7:6.

II ტური. „ქუთაისი" - „იევრია" 10:9, „აკადემია" - რუსთავი" 11:4, „ბათუმი" - „საჩხერე" 8:8.

მომდევნო ტურის მატჩები 17-18 მაისს გაიმართება. მანამდე „ოლიმპიური" 26-28 აპრილს 1996-1997 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა ნორარ გვახარიას თასის მე-3 გათამაშებას უმასპინძლებს. მთავარი პრიზისთვის საქართველოს ნაკრებთან ერთად ისრაელის, ჩეხეთისა და ყაზახეთის გუნდები ითამაშებენ. ამასე ასაკში 9-12 მაისს ამავე აუზში ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის საქართველო, პოლანდია, გერმანია, სლოვაკეთი და მოლდოვა იბრძოლებენ.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

ხელი მოწერილია

სპორტკომპლექსს „არენაში" გუშინ შეიკრიბნენ კალათბურთის ფედერაციისა და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი მემორანდუმს მოაწერეს.

ამ დოკუმენტის საფუძველზე, კავშირის ორგანიზებით თბილისის მასშტაბით ჩატარდება 18, 16, 14 და 13-წლამდელთა ქალაქის პირველობები. ყველა ასაკში გამოვლინდება 8 საუკეთესო გუნდი, რომელიც საქართველოს შესაბამისი ასაკის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ბესიკ ლიპარტელიანი, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

- თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. აღნიშნულ კავშირში ვეტერანი კალათბურთელები, გამოცდილი ადამიანები შედიან და ვფიქრობ, ისინი სწორედ ისე წარმართავენ საქმიანობას, რაც კალათბურთის სწორი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს. კავშირი თბილისის მასშტაბით საკალათბურთო პირველობის ჩატარებას უზრუნველყოფს, რის შედეგადაც მეორეჯერ ის 8 გუნდი, რომელიც უკვე საქართველოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. კარგი იქნება, თუ თბილისის მაგალითს სხვა რეგიონებიც მიმართავენ. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

პაატა გურასპაული, თბილისის ჭალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტი:

- კალათბურთის განვითარება ბავშვთა, სასკოლო ასაკიდან უნდა დაიწყოს. დაგეგმილი გვაქვს, ჩავატარო რაიონული, საქალაქო პირველობები სხვადასხვა ასაკში, ხოლო გამარჯვებულები საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს პირველობა სეროიზული ტურნირია და მასში მონაწილეობა რჩეულმა გუნდებმა უნდა მიიღონ. თბილისში ბევრი გუნდია. ასე არაა რეგიონებში, მაგრამ ვფიქრობ, ასეთივე პრინციპით უნდა მოხდეს ეროვნული ჩემპიონატებისთვის მონაწილეთა შერჩევა.

ვაჟა სიმონიშვილი

1 მოგება და 4 ყაიმი

ნახმელავნში გუშინ დაიწყო აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობს. მათგან წარმატებით აიღო სტარტი **მიხეილ მჭედლიშვილმა,** რომელმაც შავი ფიგურებით მასპინძელი ორნან აბდულოვი დაამარცხა. დაზაფრენ: **ზურაბ ჯგუბახაძე** - ნარინ კაზიმოვა (აზერბაიჯანელი), გუგარ ბაირამოვი (აზერბაიჯანელი) - **გიგა ყუფარაძე,** თამარის იდრისოვი (აზერბაიჯანელი) - **ლევან ფანცულაია, ბაჩანა მორჩილაშვილი** - კონსტანტინ ლანდა (რუსეთი).

ასპარეზობის რეიტინგფავორიტია ვლადიმირ პოტკინი (რუსეთი), რომელმაც შავი ფიგურებით ვაჩაპ სანაღს (თურქეთი) აჯობა. მეორე ნომრად განთესილი რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი) თანამემამულე ბაპრუზ რზაევს მუეთანხმდა ყაიმზე.

პირველ ტურში 16-მა მოჭადრაკემ მიაღწია ნარმატებას. დღეს მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართება.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. კვირის ლეგიონი

მაინც ჰულენი?

ლეგიონერმა კვირის მონაგარში ნატურალიზებული ამერიკელების სტატისტიკას არ ვნერთ, რადგან იანვრიდან გაირკვა, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ახალი ამერიკელის ჩამოყვანას აპირებს. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მონტეპასელ **ბობი ბრაუნთან** და ეფესელ **ჯორდან ფარმართან**. თუმცა მათ საქართველოს ნაკრების მაისურის მორგება ზედ ვერ თქვეს.

ფედერაციაში არც იმას გამორიცხავდნენ, რომ ნაკრებში უკვე ნათამაშები რომელიმე ამერიკელი დაგვმატებოდა, ასეთთა შორის ყველაზე დიდი შანსი **ჯეკობ პულენს** აქვს, რომელიც შუა სეზონში ირლანდიის „პაპოლიდან" იტალიურ „ვირტუსში" გადავიდა და ბოლომდე გაიხსნა. კვირას პულენმა ევროპაში ჩამოსვლის შემდეგ პირველ რეკორდი დაამყარა - 37 წუთში 38 ქულა ჩააგდო. მის ანგარიშზე 17-დან 10 ორქულიანი, 6-დან 3 სამიანი და 12-დან 9 საჯარიმოა. თუმცა ალ პულენის სნაიპერობამ „ვირტუსს" „დინამო სასარისთან" ვერ უშველა - კუნძულელებმა ოვერტაიმში 120:110 იმარჯვეს.

ამერიკელი კალათბურთელის სანაკრებოდ ძიება კვლავ მიმდინარეობს და ვნახოთ, საბოლოოდ ვისზე შეაჩერებს არჩევანს მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი**.

* * *

თითქმის ეჭვგარეშეა, რომ წელსეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება **ნიკოლოზ ცქიტიშვილი,** რომელმაც გასულ კვირას ორ შეხვედრაში ორი „დაბლ-დაბლი" შეასრულა და რაც მთავარია, მისმა „ჩამპიონმა" ერთი მატჩიც მოიგო და მეორეც.

ამ დაპირისპირებებში ნიკას საკრთო მონაგარმა 39 ქულა და 28 მოხსნა შეადგინა.

ნიკასა და მის თანაგუნდელ **ფაღი ხატიბს** ლიბანის ჩემპიონობის ვარსკვლავთა მატჩში უნდა ეთამაშათ, მაგრამ „ჩამპიონის" ხელმძღვანელობამ ამის უფლება არ მისცა, ტრავმის მიღებისა შეეშინდა...

* * *

დავუბრუნდეთ იტალიის პირველობას, სადაც ტრავმის გამო „მონტეპასკის" „ვენეციასთან" ვერ დაიხმარა **ვიქტორ სანკიეძე**... სიენელებს 17 მოგება აქვთ და მეოთხე ადგილზე არიან.

იტალიის მესამე ლიგაში პლეი ოფში გამსვლელ კვარტეტში ინარჩუნებს ადგილს **გიგა ჯანელიძის** „კაზაპესტან-ლენგო". **ნიკა მეტრვეველის** „ომენას" კი მასზე ერთით ნაკლები თამაში აქვს მოგებული (17) და პლეი ოფში თამაშის ასვლა კარგ შანსს ინარჩუნებს. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი.

გიორგი ცინცაძის უკრაინულ ნარმატებასა და **მანუჩარ მარკოიშვილის** მორიგ გამარჯვებაზე გუშინ მოგითხრეთ.

ვაჟა სიმონიშვილი

მოთამაშე	გუნდი	მატჩები	შეხვედრება	vs	ანგარიში	წუთი	ქულა	ვოსნა	პასი	ჩაჭრა	დაშვარება
ზაზა ფარულია	ატლანტა (აშშ)	16.04	NBA	VS ტორონტო	96:113		არ უთამაშია, ტრავმა				
		17.04	NBA	ნიუ იორკი VS	98:92		არ უთამაშია, ტრავმა				
		21.04	NBA	ინდიანა VS	107:90		არ უთამაშია, ტრავმა				
თორნიკე შენგელია	გრუჯლინი (აშშ)	15.04	NBA	VS ვაშინგტონი	106:101	25	11	11	0	1	1
		17.04	NBA	VS დეტროიტი	103:99		არ უთამაშია				
		20.04	NBA	VS ჩიკაგო	106:89		არ უთამაშია				
მანუჩარ მარკოიშვილი	გალათასარაი (თურქ)	21.04	თურქეთის ჩემპ.	გაზიანთეპი VS	67:92	27	14	5	1	3	0
ვიტტორ სანიკიძე	მონტეპასკი (იტალია)	21.04	იტალიის ჩემპ.	VS ვენეცია	83:81		არ უთამაშია, ტრავმა				
ნიკა მეტრეველი	ომენა (იტალია)	21.04	იტალიის ჩემპ.	პიზუპა VS	50:82	21	4	4	0	1	2
გიგა ჯანელიძე	კაზაპესტან-ლენგო (იტ)	21.04	იტალიის ჩემპ.	ბატერა VS	68:81		არ უთამაშია				
გიორგი შერგელიძე	ლილიბეოპაკოსი (სპ)	19.04	ესპანეთის	ესტუდი (თურ) VS	74:73	6	2	2	0	0	1
		22.04	სპანეთის ჩემპ.	VS ბასკონია-ლილიბეოპაკოსი	85:60	10	10	3	0	3	0
გიორგი ცინცაძე	გუდიველნიკი (უკრ)	17.04	უკრაინის ჩემპ. 1/4	ჯერვრეა VS	77:78	21	5	3	0	0	0
		20.04	უკრაინის ჩემპ. 1/4	VS ჯერვრეა	101:97	23	18	3	1	2	0
ლაშუთ მაისურაძე	კირიუმბრაფელი (უკრ)	20.04	უკრაინის ჩემპ.	ვოლინიანსკეტი VS	114:112	16	6	3	1	0	1
ბეძა გურჯანაძე	კახაბლელი (ესპანეთი)	20.04	ესპანეთის ჩემპ.	VS ონიპახა	61:77	2	0	0	0	1	0
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	ჩაგვიელი (ლიბანი)	16.04	ლიბანის ჩემპ.	ჯუნიე VS	95:112	38	17	17	0	1	0
		20.04	ლიბანის ჩემპ.	VS ამრიტი	86:70	40	22	11	3	0	1
გიორგი მღებრიშვილი	რუენილი (საფრ)	20.04	საფრანგეთის ჩემპ.	შარტრი VS	85:75	11	0	2	0	0	0

ლეგიონერები

ჩილაჩავასა და შეყლაშვილის ყვინილი ლელო

ვასილ კაკოვანი (მარჯვნივ)

საშრახმეიში ჩემპიონატის პირველ დივიზიონში ბოლო ტურის წინ, პლეი ოფის ყველა მონაწილე გამოკლინდა. ჩემპიონობის მაძიებელი ექვსი გუნდიდან ხუთმა ქართველი მორაგბეები ირიცხებოდა: „ულერმონი“, „ტულონი“, „ტულუზა“, „კასტრი“ და „მონპელიე“. სამწუხაროდ, დივიზიონის დატოვება მოუწევს ერთ „ქართველ“ გუნდს - „მონ დე მარსანს“.

ბოლოსწინა ტურში საბურნირო ცხრილში დაწინაურება შეძლო **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „ულერმონმა“, რომელმაც მინ მიიღო საფრანგეთის ჩემპიონი, **ჯაბა ბერეჟიანისა** და **ვასილ კაკოვანის** „ტულუზი“ და 39:17 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ „ულერმონმა“ მინ ზედიზედ 59-ე მატჩი მოიგო, რითაც „ბიარიცის“ რეკორდი მოხსნა. კაკოვანი 41-ე წუთზე შეცვალეს, ამავე მომენტიდან თამაშში ჩაერთო ბრეგვაძე, კაკოვანზე სამი წუთით მეტი დაპყო მოედანზე ზირაქაშვილმა. კოლელიშვილი განაცხადში არ იყო.

„ულერმონმა“ ერთი ქულით გაუსწრო **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა. ტულონელებმა სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში ნაადგა „გრენობლთან“ - 24:25. არადა, 50-ე წუთამდე ჩვენებური გუნდი 18 ქულის სხვაობით იგებდა - 24:6. დასკვრით 30 წუთში „ლომელებმა“ სახსნაო ჩიაფინეს. მეგზურეს სამი ლელო გაუტანეს და გამარჯვება ხელიდან მატჩის ბოლო წუთზე გამოგლიჯეს.

ანგარიში მე-7 წუთზე ქართველი შერკინების ბურჯის ლევან ჩილაჩავას ლელოთი გაიხსნა, რომელიც არბიტრმა 32-ე წუთზე გაასხინჩია, 42-ე წუთზე კი, ის ქუბრიაშვილმა შეცვალა. მიქაუტაძე განაცხადში არ იყო.

პლეი ოფის კიდევ ერთმა მონაწილემ **ანტონ ფეიერშვილის** „კასტრმა“ **თამაზ შჭედლიძის** „მონ დე მარსანს“ უმასპინძლდა და 44:17 მოუგო. ფეიერშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო.

მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილსა და **გიორგი ყიფიანის** „მონპელიე“ სტუმრად ნაადგა ბასკურ „ბაიონნას“ - 26:32. გორგოძემ სრულად ითამაშა, ნარიაშვილი 52-ე წუთზე შეცვალეს, ყიფიანი მოედანზე 69-ე წუთიდან გამოჩნდა.

ზურაბ ყვავილაის „სტად ფრანსეზი“, რომელიც უთმენლად ელოდა დარჩენილი, მინ დაამარცხა მეზღვაურ ალესანი „მეტრო რასინგი“ - 19:16. ყვავილა განაცხადში არ იყო.

I ლიგიონერი

XXV ქულა

კლერმონი-ტულუზი 39:17, ბაიონა-მონპელიე 32:26, ბორდო-ბიარიცი 16:0, ალენა-პერპინიანი 23:15, კასტრი-მონ დე მარსანი 44:17, გრენობლი-ტულონი 25:24, სტად ფრანსეზი-მეტრო რასინგი 19:16.

სატურნირო მდგომარეობა: 1. კლერმონი - 86 ქულა, 2. ტულონი - 85, 3. ტულუზა - 74, კასტრი - 73, 5. მეტრო რასინგი - 69, 6. მონპელიე - 68, 7. პერპინიანი - 61, 8. გრენობლი - 54, 9. სტად ფრანსე - 54, 10. ბაიონი - 53, 11. ბიარიცი - 52, 12. ბორდო - 47, 13. ალენი - 31, 14. მონ დე მარსანი - 15.

II ლიგიონერი

მეორე დივიზიონში რეგულარულის დასრულებამდე ორი ტურილა დარჩა. პირველი დივიზიონის ერთი საგზურის მფლობელი აქ უკვე ცნობილია - უკვე დიდი ხანია ყველასთვის მოუწდომელია „იოორნაქი“.

პლეი ოფის ოთხი საგზურიდან სამის მფლობელი უკვე ცნობილია. აქედან ორი „ქართული“ გუნდია - „ბრიეი“ და „პო“. დარჩენილი ერთი საგზურისთვის ბრძოლაში უკეთესი მდგომარეობა „ორიაკს“ აქვს, რომელიც კონკურენტებს ექვსი ქულით უსწრებს და ბოლოსწინა ტურში მინ „ოშთან“ გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფში გააღწევს.

„ქართული გუნდებიდან“ საუკეთესო მაჩვენებელი **გოდერძი შველიძის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრაშვილის** „ბრიეს“ აქვს, რომელიც მწ ქულით მესამე ადგილზეა. ბრიეელებმა უმძიმესი ბრძოლაში სტუმრად დაამარცხეს **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **კახაბერ კობერიძის** „ალბი“ - 20:16.

მაისურაძე 28-ე წუთზე შეცვალეს, თეთრაშვილმა მოედანი 58-ე წუთზე დატოვა, ნატრაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო, შველიძე შეცვალეს 16 წუთის შემდეგ შვეიდა, თოდუამ ბოლო რვა წუთი ითამაშა, ახობაძე და კობერიძე განაცხადში არ იყვნენ.

„ბრეს“ ორი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **მამუკა მაგრაქველიძის** „პო“, რომელმაც 28-ე ტურში სტუმრად მოუგო „ექსს“ - 29:18. ქართველ შერკინების ბურჯს არ ყოთამშია.

ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკს“ 77 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა. ამ გუნდმა სტუმრად მოუგო აუტსაიდერს - **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასის“ - 24:17.

დათუნაშვილმა და სუთიაშვილმა სრულად ითამაშეს, აშვეთია 53-ე წუთზე შეცვალეს, ერთ წუთში მოედანზე ნაცარაშვილი გამოჩნდა, ასეიშვილი განაცხადში არ იყო.

„ორიაკს“ ექვსი ქულით ჩამორჩებიან „ლიონი“ და „ტარბი“. **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ სტუმრად ნაადგი ერთ-ერთ აუტსაიდერთან - **ტარიელ რაბანიძის** „დაქსთან“ - 5:29. რაბანიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, კავთიძე განაცხადში არ იყო.

გიორგი ნემსაძის, გიორგი ჩხაიძის, ირაკლი მირცხულავასა და **დავით დარუნაშვილის** „ტარბი“ სტუმრად დამარცხდა მეორეადგილოსან „ლა რომელთან“ - 13:38. ნემსაძემ და ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ამასთან, ჩხაიძე მატჩის არბიტრმა მე-60 წუთზე გაასხინჩინა, დადუშვილი თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო, ოც წუთში მოედანზე მირცხულავაც გამოჩნდა.

დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლას განაგრძობს **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“. „ლანგედოკელებმა“ სტუმრად ფრეს მიაღწიეს „ნარბონთან“ - 22:22. შეყლაშვილმა 22-ე წუთზე ელო გაიტანა და 58-ზე შეცვალეს.

XXVIII ქულა

ლა როშელი-ბარბი 38:13, ალბი-ბრივი 16:20, მასი-ორიაკი 17:24, ეუსი-პო 18:29, ნარბონი-ბეზიე 22:22, ლოლმე-კარკასონი 22:19, ოში-ოიონნაქი 13:40, დაქსი-ლიონი 29:5.

საბურნირო მდგომარეობა: 1. ოიონნაქი - 106 ქულა, 2. ლა რომელი - 87, 3. ბრივი - 86, 4. პო - 84, 5. ორიაკი - 77, 6. ლიონი - 71, 7. ტარბი - 71, 8. ნარბონი - 68, 9. კარკასონი - 65, 10. ლოლმე - 61, 11. ალბი - 55, 12. დაქსი - 45, 13. ოში - 45, 14. ბეზიე - 43, 15. ეუსი - 42, 16. მასი - 33.

ფედერალ 1

ფედერალ 1-ში მერვედფინალის პირველი მაგრები გაიმართა.

ირაკლი ნინიძის „რომანმა“ შინ დაამარცხა **ბაჩუკი გუჯარაიძისა** და **შოთა ცხოვრებაშვილის** „ლენ ნაზერი“ - 27:25. გუჯარაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნინიძე და ცხოვრებაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

თედო ზიბზიბაძის „პერიგომ“ შინ ორი ქულის სხვაობით მოუგო „ვალანსს“ - 25:23. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

1/8 ფინალი

ოლორონ-ლილი 16:35, რომანი-სენ ნაზერი 27:25, კასტანე-ბურგ ან ბრესი 11:18, ლა სეინი-ტურონი 16:13, მაკონნე-ვერი 14:27, სენ ფან დე ლუზი-ბურგუენი 22:22, პერიგო-ვალანსი 25:23, სენტ ეტიენი-მონტობანი 9:15.

* * *

კელტთა ლიგაში საქართველოს ნაკრების მესამებაზელის **დიმიტრი ბასილაიას** შოტლანდიურმა „ედინბურგმა“ ბოლოსწინა, 21-ე ტურში სტუმრად ნაადგი იტალიურ „ბენეტონთან“ - 10:30. ბასილაია განაცხადში არ იყო. ედინბურგელები 32 ქულით მე-10 ადგილზე არიან.

ბესიკ ჯანგავაძე



მიხეილ ნარიაშვილი (N1)

მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი

მარკ მარკესი

ის უკვე ვარსკვლავია

მოტოკროსში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპს ამერიკის ქალაქმა ოსტინმა უმასპინძლდა და აქ ბენეფისი მოინცო „ჰონდას“ უსპეტაკეს დებიუტანტმა **მარკ მარკესმა**. მან პირველი პოული მოიპოვა კარიერაში, მაგრამ ზედმეტი ნერვიულობის გამო სტარტი ჩააგდო, რითაც ნი გაუმეტა თანამემამულე და თანაგუნდელი **დანი პედროსა**. თუმცა ახალბედა ბოლომდე არ დაიბნა - ის ცეკლში ჩაუდგა გაცილებით გამოცდილ მეწყვილეს და მას კომფორტული უპირატესობის შექმნის საშუალება არ მისცა, ხოლო ფინიშამდე 9 წრით ადრე, მარკმა გასწრებაც მოახერხა და პირველმა გადაკეცთა ფინიშის ხაზი. თან მარკეთი მოტოგრანპრის რეკორდის ავტორი გახდა - ის ამ სეირის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულია.

პედროსა მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო პოდიუმი შეავსო **ხორხე ლორენსომ**, რომელმაც მესამე ადგილიდან აიღო სტატუი და ფინიშამდე უცდელად ამ პოზიციაზე იმყოფებოდა. რაც შეეხება „ჰამპაის“ მეორე პილოტს, ლეგენდარულ იტალიელს **ვალენტინო როსის**, მან ჩაადგი ის რბოლა და მხოლოდ მეექვსე მოვიდა ფინიშთან.

ახლა, გეხერალურ კლასიფიკაციაში 41-41 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ მარკესი და ლორენსო. მესამეზეა დანი პედროსა, ხოლო ხუთეულს ავსებენ „ჰამპაის“ წარმომადგენლები - როსი და კერრო გუნდში მოასპარეზე **კეზე კრაგლოვე**.

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე რბოლა მაისის დასაწყისში, ესპანეთის ხერეზში გაიმართება. ცხადია, რომ „ჰონდაში“ **კეისი სტოუნერს** შესანიშნავი შემცვლელი მოუძებნეს მარკ მარკესის სახით და წელს, ჩემპიონობისთვის არა მხოლოდ ლორენსო და პედროსა, არამედ ეს 20 წლის პილოტიც იბრძოლებს.

ᲐᲨᲛ-ის ᲒᲠᲐᲜᲐᲠᲘ

1. **მარკ მარკესი** („ჰონდა“) - 21 წრე; 2. **დანი პედროსა** („ჰონდა“) - +1.534; 3. **ხორხე ლორენსო** („ჰამპაი“) - +3.381; 4. **კეზე კრაგლოვე** („ჰამპაი“) - +6.616; 5. **შეიდან ბრაღი** („ჰონდა“) - +12.674; 6. **ვალენტინო როსი** („ჰამპაი“) - +16.615; 7. **ანდრეა დოვიციოზო** („დუკატი“) - +22.374; 8. **ალვარო ბაუტისტა** („ჰონდა“) - +22.854...

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

1. **მარკ მარკესი** („ჰონდა“) - 41 წრე; 2. **ხორხე ლორენსო** („ჰამპაი“) - 41; 3. **დანი პედროსა** („ჰონდა“) - 33; 4. **ვალენტინო როსი** („ჰამპაი“) - 30; 5. **კეზე კრაგლოვე** („ჰამპაი“) - 24; 6. **ალვარო ბაუტისტა** („ჰონდა“) - 18; 7. **ანდრეა დოვიციოზო** („დუკატი“) - 18; 8. **ნიკი ჰეიდენი** („დუკატი“) - 15...

გაა თვალაბეიშვილი

ბადმინტონი. რეიტინგები

ანდრეუები გაეცალნენ

მეორე უთამაშებლად

პროფესიონალ ჭოგბურთელთა ასოციაციის განახლებული რეიტინგის პირველ სამეულში ცვლილება მოხდა. მეორე-მესამე ადგილები გაეცალეს ბრიტანელებს **ენდი მარეის** და შეეცილნენ **როჯერ ფედერერს**. ამ უკანასკნელმა ისე დაიბრუნა მეორე პოზიცია, რომ საერთოდ არ გასულა გასულ კვირას კორტზე. უბრალოდ, მარეი ნაადგილად გამოეთიშა მონაკოს მასტერსზე ბრძოლას და ამის გამო ჩაშოვეთად ერთი საფეხურით დაბლა.

კლასიფიკაციის ტოპ-ოცეულში სხვა ცვლილებებიც მოხდა. მაგალითად, ორი ადგილით ზემოთ ანაცვლა კანადელმა პილარ რანიჩმა და ერთით - იაპონელი კეი ნიშიკორიმ, თავის მხრივ, ორი საფეხურით დაინია უკან ფრანგმა ჟილ სიმონმა.

გაა თვალაბეიშვილი

ATP

1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	12 900
2(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 670
3(2). ენდი მარეი (ბრიტ)	8 660
4(4). დავიდ ფერარი (ესპ)	6 970
5(5). რაფაელ ნადალი (ესპ)	5 985
6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	4 760
7(7). ხ-ვ. დელ პოტრო (არგ)	4 750
8(8). ფო-ბილ ზოდერი (ესპ)	3 875
9(9). რიჩარდ გასკე (საფ)	3 365
10(10). იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	3 000
11(11). მარინ ჩილიჩი (ხორ)	2 675
12(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 450
13(15). მილოშ რაონიჩი (კან)	2 225
14(14). ტომი ჰააზი (გერ)	2 215
15(16). კეი ნიშიკორი (იაპ)	2 135
16(13). ჟილ სიმონი (საფ)	2 100
17(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	2 005
18(18). ანდრეას სეპი (იტა)	1 895
19(19). სემ კუერი (ესპ)	1 870
20(20). ხუან მონაკო (არგ)	1 785

ATP. ᲬᲔᲚᲬᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲬᲐᲒᲐᲠᲘ

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 922 367
2. ენდი მარეი (ბრიტ)	2 233 078
3. რაფაელ ნადალი (ესპ)	1 742 666
4. დავიდ ფერარი (ესპ)	1 244 061
5. ხ-ვ. დელ პოტრო (არგ)	1 151 274
6. ტომას ბერდიხი (ჩეხ)	892 920
7. რიშარ გასკე (საფ)	771 083
8. როჯერ ფედერერი (შვეიც)	764 406
9. ფო-ბილ ზოდერი (ესპ)	728 449
10. კეი ნიშიკორი (იაპ)	527 072
11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	525 107
12. ჟილ სიმონი (საფ)	493 983
13. ჯონ ისნერი (აშშ)	490 743
14. მაიკ ბრაიანი (აშშ)	490 743
15. ჟილ მიური (საფ)	460 286
16. ფაბიო ფონინი (იტა)	441 503
17. ქევინ ანდერსონი (ს. აფრ)	406 067
18. მარინ ჩილიჩი (ხორ)	404 248
19. ტომი ჰააზი (გერ)	392 332
20. მილოშ რაონიჩი (კან)	381 688

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

ლებრონის ახალი რეკორდი

პლეი ოფის ნინ, „მილუოკის“ ერთერთმა ლიდერმა **ბრენდონ ჯენნგსმა** განაცხადა, რომ მისი გუნდი ექვს მატჩში დაამარცხებედა მოქმედ ჩემპიონს. მსი აზრების სიმედარე სკრიის პირველივე შეხვედრამ დაადასტურა.

სტუმრების პირველი პრობლემა ალმირნდა **სანდერსის** ზედმეტი პერსონალურები. ამ მიზეზით, კალათბურთელმა მოედანზე მხოლოდ 19 წუთი გაატარა და ნამყვანი ცენტრის გარეშე, „მილუოკის“ სამწვრთნელო დაუცვლელი აღმოჩნდა. ფლორიდელებმა ამ ზონიდან 50 ქულა ჩააგდეს. ამას დიდმაგი **ბაბიუსი** და **ალენის** ნყვეიის ბრწყინვალე თამაში - მათ 15 ცდიდან ყველა სამქულიანი მოათავსეს კალათში.

და მაინც, „მაიამის“ რიგებში ყველაზე აქტიური მოთამაშე **ლებრონ ჯეიმსი** იყო. ფორვარდმა, გარდა იმისა, რომ ვინაღამ სამმაგი დუბლი დააგროვა, ასევე თამაშობდა 11-დან 9 ბურთი ჩაადგო. და კიდევ, პლეი ოფში ლებრონმა მეცამეტედ დააგროვა მინიმუმ 25 ქულა, 10 მოხსნა და 8 პასი. NBA-ის ისტორიაში ასეთი რამ არც ერთ კალათბურთელს არ გაუკეთებია.

მაიამი-მილუოკი 110:87

26:24, 26:21, 28:20, 30:22

მაი: ჯეიმსი (27+10 მოხსნა+8 პასი), ალენი (20+5 მოხსნა+3 პასი), უეიდი (16+5 პასი+5 მოხსნა), ბოში (15+7 მოხსნა), ანდერსონი (10+7 მოხსნა).

მილ: ჯენნგსი (26), ჯილსი (22+4 ჩაჭრა).

სერია: 1-0

■ ■ ■

„ატლანტას“ კალათბურთელებმა მაქსიმალურად სცადეს **პოლ ჯორჯის** შეჩერება. სტუმრები ლიგის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებად მოთამაშეს ხშირად ორმაგ მეურვეობას უყენებდნენ. მართალია, ჯორჯმა 13-დან მხოლოდ სამი ტყორცნა მოათავსა კალათში, მაგრამ მაინც მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. ეს იმიტომ, რომ პოლი 18-ჯერ დადგა საჯარიმოს ხაზზე და მხოლოდ ერთხელ შეცდა. თან, ჯორჯმა სამმაგი დუბლის შესრულებაც შეძლო. „პაცერსის“ ბოლო მოთამამე, რომელმაც ასეი ოფში ასეთ შედეგი მიაღწია, **მარკ ჯეკსონი** იყო. მისი ტრიპლ-დაბლი 1989 წლით თარიღდება.

ჯორჯის აქტიურობამ განსაკუთრებით **კორვერი** დააზარალა, რომელმაც ზედმეტი პერსონალურების გამო სათადაგრონთა სკამზე დიდი დრო გაატარა. ამიტომაც, ის მხოლოდ ერთი წუსკი სამქულიანით დაეხმარა თავის გუნდს.

ინდიანა-ატლანტა

„პაცერსის“ კარგად იცავდა თავს **სმიტის** ნინააღმდეგ, რომელიც ხშირად იძულებული ხდებოდა საშუალო მანძილიდან ესროლა.

საბოლოოდ, მაქსიმუმი, რასაც სამხრეთელებმა ამ მატჩში მიაღწიეს - სირნვაზე 7 წუთით ადრე სხვაობის 8 ქულამდე შემცირება იყო. ამის შემდეგ, „ატლანტას“ მეტოქის 6:0 მინი-გაქცევა გამოუპარა და ბედს მეურნედა.

ინდიანა-ატლანტა 107:90

34:26, 24:24, 26:19, 23:21

ინ: ჯორჯი (23+12 პასი+11 მოხსნა), ჰილი (18), ჰიბერტი (16+8 მოხსნა), სტაუდემირი (13+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), უესტბრუკი (13+9 მოხსნა), ჯონსი (11).

ატ: ჰოუი (21+7 პასი), სმიტი (15+8 მოხსნა+5 პასი), პორტერი (14+6 მოხსნა+3 პასი), ჯონსონი (10+5 მოხსნა).

სერია: 1-0

მხოლოდ მასპინძლები იგებენ

პლეი ოფის პირველ ორ დღეს რვავე ნყვილში გაიმართა პირველი შეხვედრები და ყველაში მასპინძლებმა მოახერხა გამარჯვება. როგორც ნედვით, რთული არ იყო ამ თამაშების შედეგების შენონახვრება. ამ მხრივ, საკმაოდ იოლი გახლდათ „ოკლაჰომასა“ და „ჰიუსტონის“ პირველი მატჩის შედეგის გამოცნობა.

საქმე ისაშდეც კი მივიდა, რომ „თანდერის“ დამრიგებელს **სკოტ ბრუჭლს** არ დასჭირვებია თავისი ლიდერთა დუეტის ხელიდან დატვირთვა. მაგალითად, **უესტბრუკმა** მხოლოდ ნახევარი საათი დაჰყო მოედანზე და ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

მანუ ჯინობილი

მასპინძლებს დაცვაში კარგი თამაში გამოუვიდათ. მათ ყველა კოზონრი მოუსპეს მეტოქეს. მაგალითად, მაქსიმალურად შეზღუდეს „ჰიუსტონის“ შორეული არტილერია. 36-დან მხოლოდ რვა ზუსტი სამქულიანი - ასეთი შედეგით რთული ნარმებიდის იმედი ქქონდეს **დურანტისა** და კომპანიის წინააღმდეგ. რეგულარულ ჩემპიონატში **ჯეიმს ჰარდენმა** ერთ მატჩში 40-ზე მეტი ქულა დაადგრთა თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ, მაგრამ ამჯერად, 19-დან 13 ტყორცნა ააცილა. თან ბის სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონია. მაგალითად, **ჯერემი ლინმა** იმდენი ქულა ჩააგდო, რამდენიც შეცდომა დაუშვა.

ოკლაჰომა-ჰიუსტონი 120:91

26:19, 34:28, 29:19, 31:25

ო: დურანტი (24+6 მოხსნა+4 პასი), უესტბრუკი (19+10 პასი+8 მოხსნა), იბაკა (17+7 მოხსნა+3 დაფარება), მარკანი (16+5 მოხსნა).

ჰ: ჰარდენი (20+6 მოხსნა), ბუეერლი (11+4 პასი), დელფინო (10).

სერია: 1-0

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ **კობი ბრაიანტი** გამოეთიმა სეზონს, „სან ანტონიოსა“ და „ლეიკერსის“ სერია მერეედფინალურ ეტაპზე ცენტრალურად მიიწევება. გუშინ, ამ გუნდების პირველი მატჩი გაიმართა და „სპურსმა“ უცნაური გამარჯვება მოიპოვა. **გრეგ პოპოვიჩმა** ძალიან დრო გაიხსენა და ეს მატჩი არა შედეგიანი თამაშით, არამედ დაცვითი მოქმედებით მოიგო.

შესაძლოა, მწერთნელმა ეს იმიტომ გაიკეთა, რომ მის მეკირდებს ბოლომდე კარგად შეტეხაში თამაში არ გამოსდიოდათ. თამაშიდან რეალიზაციის პროცენტი დაბალი იყო (37.6), მოუხედავად იმისა, რომ **მანუ ჯინობილიმ** 19 წუთში 18 ქულა დააგროვა. სამბაიერიდ, თითქმის იდეალური იყო „სპურსის“ მოქმედება საკუთარი ნახევარზე, სადაც მეტოქეს 18 შეცდომა დააშვებინა (აქედან ათი დაკარგვა **პოვარელია** და გასოლის წყვილს ეკუთვნის).

„ლეიკერსს“ ამ მატჩისთვის **სტივ ნეშ** დაუბრუნდა, მაგრამ კანადელი უფრო ხშირად შეცდეინისვის ხელსაყრელი პოზიციის შერჩევით იყო დაკავებული, ვიდრე ეერიმების ორგანიზებით. ამიტომაც, მისი მონაკარი მხოლოდ 3 შედეგიანი პასი აღმოჩნდა. კალიფორნიელთა ნაგებს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ რეზერვისაგები მხოლოდ ათი ქულით დაეხმარნენ სასტარტო ხუთეულის წევრებს.

სან ანტონიო-ლოს ანჯელესი 91:79

24:15, 21:22, 25:20, 21:22

სა: პარკერი (18+8 პასი+3 ჩაჭრა), ჯინობილი (18+3 პასი), დანკანი (17+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბონერი (10+5 მოხსნა), ლეონარდი (8+11 მოხსნა).

ლ: ჰოუარდი (20+15 მოხსნა), გასოლი (16+16 მოხსნა+6 პასი), ჩეხი (16+3 პასი), ბლეკი (12+4 ჩაჭრა+3 პასი).

სერია: 1-0

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი - ასტონ ვილა 3:0

იტალია

სერია B

ასკოლი-პაღლიუკა 0:1

ვერონა-პრეშა 4:2

შვედეთი

სელტა-სარაგოსა 2:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

დუისბურგი-კიელი 1:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

მონაკო-კლერმონი 4:0

პოლანდია

II დივიზიონი

ემდენ-ჯაგუარი 1:3

პორტუგალია

ოლანენსე-ბემფიკაში 1:2

შოტლანდია

ჰიბერნიანი-აბერდინი 0:0

დანია

ესბერგი-ვიდატუულანდი 0:1

ნორვეგია

II დივიზიონი

ფრედრიქსტადი-სანდეფიორდი 1:2

შვედეთი

გეფლე-ჰიკ 1:2

გალვიე-ოსტერი 2:0

სირიანსკა-ნორჩეპინგი 3:1

ელფსბორგი-იუნგორდენი 2:0

II დივიზიონი

იორგარდე-ბრაგე 1:0

უნგრეთი

ჰონკა-ჰიკ 0:2

შვეიცარია

ჩელენგერლიგა

ბრაუ-ლუგანო 3:2

ვილე-გროსლეფინგი 2:3

თურქეთი

ესკისეჰირი-ტრაბზონი 0:1

II დივიზიონი

ანკარაგიუჯუ-პოლა 1:0

ირლანდიის თასი

კორკი-შემროკი 2:2

სლიგო-დერიმედი 1:0

ჩეხეთი

სლავია-სლოვაკეთ 1:0

რუსეთი

როსტოვი-ტერეკი 0:3

II დივიზიონი

პეტრორატნიკი-პოლბარი 1:0

ურალი-ბალტიკა 1:0

შინიკი-უფა 1:0

ტორპედო-სალუტი 0:1

უკრაინა

არსენალი-კარპატი 4:1

პოლონეთი

რუხი-პოლონია 2:1

რუმინეთი

ბრაშოვი-ოცელული 3:2

სტიაუა-პეტროლული 2:2

ბელარუსი

ნაფთანი-სლუცკი 0:0

გომელი-ტორპედო 0:0

ისრაელი

ირონი (რ-ე)-მაკაბი (თ-ა) 0:2

ჩრ. ირლანდია

კრუზაიდერსი-კლიფტონვილი 3:0

შვეიცარია

უნიონი-ლანუსი 0:0

კალათბურთი

საფრანგეთი

პუატიე-ნანსი 63:65

საბერძნეთი

ოლიმპიაკ.-პანელეფსინიაკ. 85:60

პოკერი

ფინეთი

ტაპარა-ესპო 1:2 (₸)

ჩოგბურთი

ATP. ბარსელონა

სისლინგი-კუზნეცოვი 1:6, 3:6

ბეგელე-დოდიგი 7:6, 3:6, 2:6

ლორენცი-რუფენი 6:4, 6:2

შტეპანეკი-გულბისი 6:7, 2:6

ტურსუნოვი-ისტომინი 6:3, 5:4 უარი პაასე-კარონ ბუსტა 1:6, 6:2, 6:7

ოლსო-გრანოლერს პუელი 6:4, 1:6, 6:4

მონტანესი-ბერანკისი 6:4, 6:3

დვეიდენკო-კარაცევი ბაენა 6:1, 6:4

ანდუხარი-ფერლია 6:7, 7:6, 6:2

ATP. ბუქარესტი

ბრანდსი-იტო 6:3, 6:4

გოფენი-უნგური 6:3, 6:1

ტროიცკი-მატოშევიჩი 7:6, 6:3

WTA. მარაკეში

რუსი-ტორო ფლორი 1:6, 1:6

სხვენსონი-ვირსტეინ 6:3, 6:1

ფედერაციის თასი

ვინჩი-საფიაროვა 6:3, 6:7(2), 6:3

TV პროგრამა

23 აპრილი, სამშაბათი

I არხი

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა (LIVE).

II არხი

16:00 ფეხბურთი. სატარიდელის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. მატჩლესტერ იუნაიტედი (ინგ) (Live).

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმობილება.

11:00 ოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმობილება.

12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. მანჩესტერ იუნაიტედი ეთამაშება ასტონ ვილას.

14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. ბაიერნი-შალკე.

16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ფულემი-არსენალი.

18:00 პრემიერა - იმედის ფსონი.

19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ლივერპული-წოტენჰემი.

22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმობილება.

22:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა (LIVE).

00:45 პოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ალკმარი-ენსედხეიენი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლეგენდების მოყვანებები.

12:00 სპორტ-NEWS.

12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ბრუკლინი-ჯაზი. II მატჩი.

15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.

17:00 რაგბი. პრიტვენის თასი. 1/4 ფინალი. კლერმონტ-მონპელიე.

19:00 ვოლეიზე სწრაფები.

19:30 სპორტ-NEWS.

20:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. გიმნასია ლა პლატა.

22:00 ყოველკვირეული ტელეფურნალი - ტრანსფერლაბორატორია.

23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ბრუკლინი-ჩიკაგო. II მატჩი.

01:00 NBA ACTION.

06:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დენვერი-გოლდენ სტეიტი. II მატჩი (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი. რუსეთი-სლოვაკეთი.

12:45 სპორტ-NEWS.

13:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი. რუსეთი-სლოვაკეთი.

15:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რეალ-მაკაბი.

17:10 სპორტ-NEWS.

17:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. სამხეოხო მატჩი. მსგ-ბარსელონა.

19:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მინესოტა.

21:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	9	14	(ზზე)
ქუთაისი	8	10	(წვიმა)
ბათუმი	9	12	(წვიმა)
ფოთი	8	12	(წვიმა)
ზუგდიდი	7	10	(წვიმა)
ბორი	6	12	(მცირე წვიმა)
თელავი	8	15	(ზზე)
სიღნაღი	5	14	(ზზე)
გუდაური	-4	3	(თოვლი)
ბაკურიანი	-4	8	(თოვლი)
გორგორი	1	5	(წვიმა)
მესხეთა	-1	5	(თოვლი)

ვალუტის კურსი

1 აშშ დოლარი	1.6604
1 ბრიტანული ფუნტი	2.5240
100 რუსული რუბლი	5.2477

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ბოსტონი-ფლორიდა 3:0

1:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ნაიჩი-16 (კელი-6, სოდერბერგი-1), 2:0 ფ. პეტრელიი-5 (ბ. ფორბი-3), 3:0 მარშანი-18 (სეგუინი-15, პ. პერგორნი-22).

კოლორადო-სან ხოსე 5:3

2:1, 2:1, 1:1

გოლები: 1:0 მაკკინონ-10 (პალუშაი-7, შრომბენი-13), 1:1 ჰეგინი-6 (ბოშმანტერი-13, პიტერსონი-19), 2:1 მაკლეოდი-7 (დეოროტი-3, ლანდესკოგი-7), 3:1 მაკკინონ-11 (ნ. ო'რაილი-14), 3:2 შეარე-5 (პაკსი-20), 4:2 დუშენი-17, 4:3 მაკნენორ-5 (ბერგლუნდი-8, ტარასენკო-10), 5:3 კობესოვ-5 (მაკგინნი-11, ო'ბრაიენი-4).

ბაჰამა ბეინ-პარმოლინგ 2:3

0:3, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 სთობნი-12 (ე. სტაალო-30), 0:2 ტლუსტი-20 (სთობნი-30, კორვი-11), 0:3 ტლუსტი-21 (ე. სტაალო-31, სთობნი-31), 1:3 სტეგმოი-28 (სალო-15, სან ლუი-42), სან ლუი- 13 (ლეკავალე-20).

მინესოტა-კალგარი 1:4

1:1, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 კუნკარი-1 (ბრაუნი-11, კამალეტი-19), 1:1 პარხე-17 (ჩ. კოული-8, კოვე-28), 1:2 ბეკლენდი-8 (სტემნისი, ჯ.-ე. ბაერგმანი-5), 1:3 კამალეტი-13 (ენდერსონ-1, პარხი-12), 1:4 პუდელური-10 (რონსპარდი-2, ვორდანი-11).

ედმონტონი-ანაჰაიმი 1:3

1:1, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ტ. პოლი-15 (ეხერლე-19, ჰეგბრი-9), 1:1 ფილუპული-1 (ბონნინი-6), 1:2 პალმიერი-10 (ბონნინი-7, ლიდმანი-5), 1:3 ეკრი-15 (ვატტელიუი-32, როსი-19).

სან ხოსე-კოლამბუსი 3:4

0:1, 1:2, 2:1

გოლები: 0:1 ლეტქოუსი-11 (ჯ. ჯონსონი-13, ჰრომპალი-17), 0:2 პრომპალი-12 (ლეტქოუსი-14), 2:1 პაულაი-8 (კუტური-16, ბრაუნი-6), 1:3 ლეტქოუსი-12 (ტოუტი-18, ფუბინსი-15), 2:3 დეფორდნი-2 (ორტონ-5), 3:3 პაულეკი-15 (გომესი-12, ორეინი-6), 3:4 ოიანსენი-5 (ემბურყი-10).

ლოს ანჯელესი-დალასი 4:3 (ოტ)

1:0, 1:2, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ს. როზანოი-12 (ბეგრენი-11, ჯ. კარტერი-6), 2:0 ჯ. ბრაუნი-17 (კოპატარი-30, ჯოსტინ უილიამსი-21), 2:1 ე. ერიქსონი-11 (რეი უოქნი-16, ჯეიმს ბენი-21), 2:2 რიცკეი-7 (გარბატაი-6, გალაგოსი-23), 2:3 გოლოვაშკინ-3 (ჯონსი-16, ჩ. სმიტი-6), 3:3 ჯ. ბრაუნი-18 (ჯ. კარტერი-7, კოპატარი-31), 4:3 ჯ. კარტერი-25 (ს. როზანოი-20, დელეი-18).

რენინჯერსი-ნიუ ჯერსი 4:1

2:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 კეტანენი-13 (პაგლიონი-12, სტუბნი-24), 2:0 სტუბნი-16 (ბაკლანსონ-14, სტარალანთი-4), 3:0 პიატ-3 (ს. როზანოი-19), 4:0 კეტანენი-14 (ბ. რაკერაი-20, დელ ზოტა-16), 4:1 ლოკჰორნეი-8 (კოველსკი-18, პარლი-3).

ღამის რბოლა ბაჰრეინში?

მუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წელია ბაჰრეინში ფორმულა 1-ის ეტაპის გამართვა ქვეყანაში ოპოზიციური ძალების გამოსელების გამო გართულდა, „დიდი ცირკის" მთავარი პრომოუტერი **ბერნი ეკლსტოუნი** „საპირის" რბოლის ორგანიზატორებთან მოქმედი კონტრაქტის ხუთი წლით გაგრძელებას აპირებს.

იმის გამო, რომ 2014 წელს, ბაჰრეინში საიუბილეო მეათე რბოლა გაიმართება, ტრასის ხელმძღვანელობას ორივე ინსტანციით მონჯობა სურს. მართალია, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ გრანპრის თამჯდომარემ **ზაიედ ალ-ზაიანიმ** განაცხადა, რომ განიხილება შოუს რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის, ღამის რბოლის გამართვა.

ასევე ბაჰრეინის ეტაპის ორგანიზატორები ითხოვენ, რომ 2014 წელს სეზონი სწორედ „საპირზე" გაიხსნას. ასეთი სურვილი აქვთ გუნდებსაც და სპონსორებს წარმომდგენ კომპანია „პირელისაც", რომელსაც სურს ერთი წინასასეზონო ტესტის გამართვა ახლო აღმოსავლეთში.

აქაც კონფლიქტი?

ბაჰრეინის გრანპრის დროს, სერიოზული მტკივნეობა ჰქონდათ ტრასაზე „მაკლარენის" პილოტებს - **სერხიო პერესსა** და **ჯენსონ ბატონს**. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თანაგუნდელების ბოლიდებს შორის მცირე კონტაქტიც ვიხილეთ. გუშინ, ამ სიტუაციას კომენტარი გაუკეთა „მაკლარენის" მეფეშა **მარტინ უიტმარშმა**, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მექსიკელსა და ბრიტანელს შორის არც ისე კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

„მაკარენის" შეფი აღნიშნავს იმ ფინს, რომლითაც პერესი ტრასაზე იბრძვის. მისი სიტყვებით, სწორედ ამის წყალობით დაიკავა სერხიომ მეექვსე ადგილი ბაჰრეინის გრანპრიზე.

„არ მინდა ამაზე ლაპარაკი, რომ სერხიო უფრო მშვიდად უნდა მოიქცეს ტრასაზე, რადგან სწორედ საბრძოლო ფინი აძლევს მას გასწრებისა და რაიმე სიტუაციაში ბრძოლის გაგრძელების საშუალებას, - ამბობს უიტმარში. - მან შესანიშნავად იცის, რომ ზოგიერთ მის საქციელს მატონი მწყობრიდან გამოყავს. მაგრამ ეს სერხიოს მშვიდი ძილში ხელს არ უშლის".

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ფებელს სოჭი მოეწონა

ბაჰრეინის გრანპრის მოგების შემდეგ, „რედ ბულის" პილოტი **სებასტიან ფეტელი** ქალაქ სოჭში მშენებარე ფორმულა 1-ის ტრასას ეწვია, რომელიც ოლიმპიურ პარკში მდებარეობს.

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გაეცნო მომავალი ტრასის ინფრასტრუქტურას და „რედ ბულის" ბოლიდით გაისეირნა ტრეკის იმ ნაწილზე, სადაც უკვე დაგებულია ასფალტი.

პრესკონფერენციაზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა აღნიშნა, რომ ტრასის კონფიგურაცია კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, აქ ბევრია საინტერესო ვირაჟი და ადგილები გასწრებისთვის. თუმცა, სებასტიანის თქმით, ჯერ ისევ საჭიროა ფანტაზიის მოშველიება იმის წარმოსადგენად, როგორი იქნება ატმოსფერო 2014 წლის შემოდგომაზე, როცა რუსეთის პირველი გრანპრი გაიმართება.

თანაგუნდელების ორთაბრძოლა

ოქროს და ვერცხლის ლიგებში დაიწყო დასკვნითი და ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი.

1/4-ფინალური ეტაპის პირველმა შეხვედრებმა წყვილებში უშეღავათო ბრძოლებში ჩაიარა. ფავორიტებმა ვერ მოახერხეს დამაჯერებელი გამარჯვებების მოპოვება, მეტიც, რამდენიმე მათგანმა მარცხიც განიცადა. უილბლო დღე გამოდგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტისთვის, „ნატახტარის" ორივე გუნდი სენსაციურად დამარცხდა.

12 მაისს გაიმართება საპასუხო შეხვედრები, სადაც ფავორიტებს მიეცემათ საშუალება, დამამტკიცონ საკუთარი გუნდის სიძლიერე. პირველმა შეხვედრებმა კი დაგვარწმუნა, რომ მოწინააღმდეგე გუნდები არაფრის დათმობას არ აპირებენ.

BUSINESS CHAMPIONS LEAGUE 21.04.2013

GOLD LEAGUE 1/4

2:1		
17 ქუჩავა	20 რაცაძე	
32 ბიწიბაძე		
1:3		
33 მიქელაური	3 უხერხუდაური	
	15 ქაბანი	
	26 უხერხუდაური	
5:3		
7 ნაჭინი	5 ლომიი	
27 ონიშვილი	15 ბახსაშელიძე	
34 ჭიაუაძი	30 ოქიაძე	
35 ონიშვილი		
40 ონიშვილი		
5:0		

გოგბაჭიდიები:

უხერხუდაური	UN OF GEO	21
სახელაური	PSP	19
რაცაძე	ALGO	10

SILVER LEAGUE 1/4

1:3		
17 ხაშხაძე	4 თუხაშვილი	
	27 ლობჟანიძე	
	28 თუხაშვილი	
3:2		
17 ბუაჩიძე	3 ონიშვილი	
20 ქუჯუაშვილი	30 ონიშვილი	
36 ხოფერაია		
2:4		
3 სალიხაშვილი	7 ბაშაჭიძე	
34 ჯოგაია	15 გაისუმაძე	
	17 გაისუმაძე	
	32 გაისუმაძე	
1:1		
6 სისკაშვილი	33 ჩაქუა	

გოგბაჭიდიები:

ონიშვილი	AUTO BILD	24
გაისუმაძე	ARENA	15
ბაშაჭიძე	ARENA	15

2 : 6

SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

BRONZE LEAGUE

		თ	ა	ფ	ნ	ბ	ქ
1	BARAMBO	1	1	0	0	6-4	3
2	GPI HOLDING	1	1	0	0	2-1	3
3	MINISTRY of SPORT	2	1	0	1	8-8	3
4	GOODWILL	1	0	0	1	1-2	0
5	GEO HOSPITAL	1	0	0	1	2-4	0

JOMA SPORT GEORGIA

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილეა გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნებერიძე, გია ტუხაშელი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაშიი; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ვრცმო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelotd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: ილიაწინის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

ISSN 2233-3627

გამომცემელი ყოველდღიდ, გარდა კვირისა

გამომცემლობა ლელო

რედაქციასთან შეუთანხმებელად გადაბეჭდვის და ფოტოების სხვა გზებით გადმოღების და ელექტრონულ სახეებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ანგ GE19CR01200070000043608